საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, 2015 წელი.

№189 (7834)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ბოროტებასთან წილნაყარი, დესტრუქციული სიტყვა

ჩვენი ხალხის უმრავლესობისგან შერისხული და უარყოფილი ნაციონალური პარტიისა და, კერძოდ, ძებნილი საკაშვილის ანტისახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თავგადაკლული პროპაგანდისტი მებუკე ცრურუსთავორელები გულუბრყვილოთა შესაცდენად და მოსატყუებლად ოცდაოთხი საათი გაჰყვირიან, ხელისუფლება თავისუფალ სიტყვას ებრძვის, კრიტიკულ არხს გვიხურავსო. არადა, სინამდვილეში ცრურუსთავორს, სამწუხაროდ, არავინ არ ხურავს, ნაციონალთაგან უსამართლოდ და არაკანონიერად ქონებაწართმეული ძველი მეპატრონე სამართლიანად ითხოვს თავის კუთვნილ წილს, რაც სამართლებრივი წესით, თანაც გამჭვირვალობის სრული დაცვით უნდა გადაწყდეს. ხოლო რაც შეეხება ცრურუსთავორელთა ვითომ თავისუფალ სიტყვას, ყველა მიუკერძოებელი ადამიანი ცხადად ხედავს, რომ ეს დესტრუქციული სიტყვა აშკარად ბოროტებასთან წილნაყარია და არა თავისუფლებასთან, მიუკერძოებლობასთან.

უკვე მეოთხე წელია, ამ მტრულმა, სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელმა და მაყურებლისთვის გამიზნულად გზაკვალის ამბნევმა სიტყვამ საბოლოოდ მოაბეზრა თავი ჩვენი საზოგადოების უმრავლეს, ჯანსაღ ნაწილს. სწორედაც ამ საზოგადოების უმრავლესი ნაწილის აზრია, რომ „რუსთავი-2“ ათასგვარი ცილისწამებისა და ჭორმართლის გზით თვითონ ებრძვის მართალ სიტყვას, დემოკრატიის საფუძვლებს და ყოველდღიურად ანთხევს ანტისაზოგადოებრივ შხამსა და გესლს.

ჩვენი საზოგადოების ეს ნაწილი, საბედნიეროდ, იმასაც კარგად აცნობიერებს, რომ ამჟამინდელ პოლიტიკურ სარბიელზე დამნაშავე ნაციონალების ყოველგვარ წრეს გადასული გაუთავებელი ყელყელაობა, უწინარესად, თვითონ „ოცნების“ პოლიტიკური ნების სისუსტის ბრალია, რომელი ხელისუფლებაც, დაპირებისამებრ, სამართლიანობის აღდგენისა და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობისათვის შეუნელებელი, ყოველდღიური ზრუნვის ნაცვლად თავისი თავისთვის და, რაც მთავარია, ქვეყნის საზიანოდ არაერთი საქვეყნო დანაშაულის ჩამდენ ნაციონალებთან ეგრეთ წოდებული კოჰაბიტაციის ანუ, თანაარსებობის მავნე გზას დაადგა, რასაც, გულახდილად უნდა ითქვას, ბევრის იმედგაცრუება და გულის გატეხა მოჰყვა.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ოცნება ახდენილი ფასობს და მუდმივი მეოცნებეობა მაინცდამაინც კარგად არ მთავრდება!..

ტელეკომპანიის ნამდვილი (ფარული) მესაკუთრე საკაშვილი ბრძანდება!..

ქიბარ ხალვაშის სიმართლე „რუსთავი-2“-ის „სიმართლის“ წინააღმდეგ 6

ვის აბოლებს სამსახურის ხარჯზე ნაყიდ ჯიპში ჩასკუპებული გვარამია?

3

„რუსთავი-2“-ის მილიონერი(?!) დირექტორი დახმარებას საზოგადოებას სთხოვს

7

არც ერთ ფორმატში, სადაც ნაციონალური მოძრაობა ინიციატორი და წამყვანი იქნება, მონაწილეობას არ მივიღებთ

ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გადაცემა 20/30-ის ეთერში, იმ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, თუ რას იზამს „დემოკრატიული მოძრაობა“, თუ ინტერპარტიული ჯგუფის სხვა წევრები ვადამდელი არჩევნების საკითხზე ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას დასთანხმდებიან.

„ეს მათი უფლებაა. ასე შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალური მოძრაობაა იმ ჯგუფის წევრი, სადაც ჩვენ ვართ. თავიდან ჩვენი ინიციატივა იყო ამ ჯგუფის შექმნა და სამწუხაროდ, ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან იმავე ქვეყნის შვილები და წარმომადგენლები, რომლის შვილებიც ჩვენ ვართ. ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობის გამო ვერ გადავსახლდებით საქართველოდან და ყველაფერზე უარს ვერ ვიტყვით. არც ერთ იმ ფორმატში, სადაც ნაციონალური მოძრაობა იქნება ინიციატორი და წამყვანი, ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ, მაგრამ ამავდროულად ჩვენ ვერ ავუკრძალავთ ნაციონალურ მოძრაობას, როგორც პარტიას, იყოს იმ ინტერპარტიული ჯგუფის წევრი, სადაც ყველა პარტიაა წარმოდგენილი“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

იგი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი არა „დემოკრატიულ მოძრაობას“, არამედ ხელისუფლებას უნდა გადაეწყვიტა.

„მეც ვიყავი ის ადამიანი, რომელიც ხმასაც ვაძლევდი „ქართულ ოცნებას“, ვგულშემატკივრობდი და დიდი იმედით შევყურებდი. დღესაც ვგულშემატკივრობ როგორც ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ ძალას, იმიტომ რომ არ მინდა, შეცდომა დაუშვას, მაგრამ როგორც პოლიტიკურ ძალას, ნამდვილად არ ვგულისხმობ. „ქართულ ოცნებას“ უნდა უზრუნველეყო ის, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ ყოფილიყო ამ ტიპის პარტიული გაერთიანებების წევრი. თუ „ქართული ოცნება“ მოახერხებდა იმას, რომ კოჰაბიტაციის ნაცვლად ნაციონალურ მოძრაობას საერთოდ აკრძალავდა როგორც პარტიას და განსასჯელის სკამზე დასვამდა იმ ადამიანებს, ვისაც ეს ეკუთვნოდა, მაშინ ასეთი კითხვები საერთოდ არ დაისმებოდა და დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა „ქართული ოცნებაც“ და ქვეყანაც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ტრაგიკული შეცდომები იქნა დაშვებული“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

◎ შეფასება

ალექსანდრე ქანთარია: ამ მხრივ ჩვენ თავის დასახრელი და დასარცხვენი არაფერი გვაქვს!

ქანთარიას განცხადებით „ქართული ოცნების„ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ადამიანის უფლებები ძირითადი ფასეულობა გახდა, ასევე ყურადღება გამახვილდა სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე, რამაც სახელმწიფო ძირეულად შეცვალა. რაც შეეხება გადაცდომებსა და შეცდომებს, უმრავლესობის წევრი აღნიშნავს, რომ „როდესაც ხელისუფლებაში მოდის ახალი ძალა, ნელ-ნელა მისი დივიდენდები კლებულობს და ეს ბუნებრივი მოვლენაა“. მთელ მსოფლიოში ასე ხდება. მაგრამ ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ დავამკვიდრეთ მშვიდობიანი, სტაბილური, სამართლიანი არჩევნები და არჩევნების გზით შესაძლებელი გახდება ნებისმიერი ხელისუფლების მოსვლა და წასვლა. ადამიანი გახდა პრიორიტეტი და მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა გახდა უმთავრესი. საავადმყოფოს კარი გაიღო ადამიანებისათვის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასა და სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ რეფორმებს. რა თქმა უნდა, პრობლემები არის, ორგანიზების თვალსაზრისით, კოორდინაციის თვალსაზრისით. უმრავლესობაშიც არის ბევრი რამ დასახვეწი და განსახორციელებელი, მაგრამ იმ უმთავრესს, რაც მოხდა და რაც არის, ჩვენი ამომრჩეველი გვერდს ვერ აუვლის და ამაზე ვერავინ დახუჭავს თვალს. ვფიქრობ, არჩევნებამდე კიდევ ბევრი რამ გაკეთდება. ჩვენს მოსახლეობას შეეძლება, შედარება გააკეთოს ჩვენს დაპირებებსა და შესრულებულ საქმეებს შორის და თავად გააკეთებს შემდეგ არჩევანს. ამ მხრივ ჩვენ თავის დასახრელი და დასარცხვენი არაფერი გვაქვს.“ – განაცხადა ქანთარიამ.

პირველი ოფიციალური ვიზიტი... 22 წლის შემდეგ

თურქეთს, პირველი ოფიციალური ვიზიტით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია ეწვია.

22 წლის განმავლობაში ეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პირველი ოფიციალური ვიზიტი იყო, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია უძღვებოდა.

დელეგაცია, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამინისტროს ორმხრივ პოლიტიკურ საკითხთა გენერალურ დირექტორს, შეფიქ ვურალ ალთაის შეხვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, შეხვედრები გაიმართა ასევე თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან და თურქეთის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული საზღვარგარეთ მცხოვრებ თურქთა და მონათესავე ერთა გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელობასთან, სადაც კონკრეტული პროექტების განხორციელების გეგმა დაისახა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან.

ქალაქ ინეგოლში შედგა დელეგაციის შეხვედრა საქართველო-თურქეთის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელთან ჰუსეინ შაჰინთან, ინეგოლის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ქალაქის მერთან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრები გაიმართა ისტორიული ქართული და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● „საზოგადოება შეთანხმებული ვართ, რომ ბიძინა უნდა წავიდეს“ – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

უკაცრავად მაგრამ, რომელი საზოგადოება?

● ელენე ხოშტარიამ ტაბულაზე „რუსთავი-2“-ის გაპრავების ახალი ფორმულირება შემოგვთავაზა – მთავარია, ხელისუფლების გავლენის ქვეშ არ იყოს ტელევიზია, თორე დანარჩენი ყველაფერი მოსულაო. როგორი იმედი მქონდა რომ ჩერგოლეიშვილი ჰკითხავდა – ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ვისი გავლენის ქვეშ იყო „რუსთავი-2“-იო, მაგრამ არ ჰკითხა, ეტყობა დრო არ ეყო.

● ისე ამ პაეზდკაში წასვლაზე, მართლა სულ დიდი გაწევ-გამოწევა და ქიშპია,მე მეგონა ისევ ღარიბაშვილი დაასწრებდა მარგველაშვილს და წავიდოდა, მაგრამ აქ საზოგადოება შეთანხმებულა, თან როგორი საზოგადოება, აწი ბიძინა წავაო!!!

ბიძინა კი, თუ მართლა წავიდა ბოკერიას და მის მეგობრებს კარგი დღე არ დაადგებათ – ბიძინას გარანტიით არიან, კიდე რომ ბოგინობენ!!!

● საინტერესოა, საქართველოში გეი მეტია, თუ გეების უფლებადამცველი?

● ამ რუსებს,ოღონდ ბომბი ასროლინე და ჭამა-სმაც არ უნდათ!!!

● შუა რომ უნდა გაეკრიფათ, მე ვერ გამკრიფეს, ვერ შემამჩნიეს, თუ არ გამკრიფეს არ ვიცი, მაგრამ ვარ ასე გაუკრეფავში, „შუიციდის“ ანუ თვითგაკრეფვის უფლებას რელიგია არ მაძლევს და ვარ ასე ჩემთვის, ამ უზადო მაიმუნობის დამკვირვებლად, ერთგვარი „გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა“ სრულიად შუაგაუკრეფავი!!!

● „სიტყვის თავისუფლება“ საერთაშორისო ტერმინია და „რუსთავი-2“-ულად – „შენი გამოყავი ჩემი უნდა შეეყოს“ ნიშნავს.

● წაიღეს ტვინი! – შეხვდა-არ შეხვდა, გაულიმა-არ გაულიმა. ხელი ჩამოართვა–არ ჩამოართვა, დაურეკა-არ დაურეკა. დაელაპარაკა-არ დაელაპარაკა. ეტიკეტი, – კონტრეტიკები, ელჩი – ლენჩი.... თითქოს სხვა საფიქრალ-საზრუნავი არაფერი ჰქონდეს ქვეყანას.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ შეჯამება

ბიზნესი საქართველოში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ამ დღეებში საქართველოს ბიზნესის მდგომარეობაზე სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა და გასული წელი შეაჯამა.

ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2014 წელს საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 50.1 მლრდ. ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 26.1 მლრდ. ლარი შეადგინა. მთლიანი ბრუნვა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 81.9 პროცენტი, საშუალო ბიზნესი – 8.7 პროცენტი, მცირე ბიზნესი – 9.4 პროცენტი.

ეს მონაცემი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბოლო წლებში ვერა და ვერ ხერხდება ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილის გაზრდა. არადა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ეკონომიკაში, მით მეტია ქვეყანაში სოციალური თანასწორობისა და დემოკრატიის ხარისხი.

შეგახსენებთ, რომ მცირე და საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს: მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს; საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და მილიონ 500 ათას ლარს. მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან წლიური ბრუნვის მოცულობა – მილიონ 500 ათას ლარს.

აქვე უნდა ითქვას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში ინვესტიციების რაოდენობა მეტია, ვიდრე მსხვილ ბიზნესში. ეს იმასაც მოწმობს, რომ შედარებით მცირე ბიზნესში წარმოებული პროდუქცია უფრო ძვირი ჯდება და ნაკლები ამონაგები აქვს. კერძოდ: საწარმოთა მიერ განხორციელებულმა მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში შეადგინა 3 მილიარდ 559.6 მლნ. ლარი, რაც საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 76.4 პროცენტი, საშუალო ბიზნესი – 7.6 პროცენტი, მცირე ბიზნესი – 16.0 პროცენტი.

2014 წელს საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2014 წლის განმავლობაში 37.9 მლრდ. ლარი, ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 24.8 მლრდ. ლარი შეადგინა.

საინტერესოა, რომ ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა 3,7-მილიონიან ქვეყანაში დასაქმებული ადამიანების მთლიანმა რაოდენობამ 592.1 ათასი კაცი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ მთლიანად ბიზნესი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 16 პროცენტის დასაქმებას ახერხებს. ამასთან, ამავე სტატისტიკის თანახმად, დასაქმება ბიზნესში მამაკაცისთვის უფრო ადვილია, ვიდრე ქალისთვის: საწარმოებში დასაქმებულთა 39.3 პროცენტი ქალია, ხოლო 60.7 პროცენტი – კაცი.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 56.2 პროცენტი, საშუალო ბიზნესი – 15.4 პროცენტი, მცირე ბიზნესი – 28.4 პროცენტი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს დასაქმების დიდი პოტენციალი აქვს.

ნინო ევგენიძე

ᲕᲘᲡ ᲐᲑᲝᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲜᲐᲧᲘᲓ ᲯᲘᲯᲘᲡᲗᲘᲡ ᲩᲐᲡᲙᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ?

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ(?!) ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲗᲮᲝᲕᲡ

მᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲧᲐᲓᲐᲚᲐ, ᲫᲛᲔᲑᲛᲐ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲫᲚᲔᲡ, ᲠᲝᲛ 100%-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲪᲝᲚᲘᲡᲫᲛᲘᲡ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲛᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲘᲦᲝ „ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘᲓᲐᲜ“ ᲛᲝᲫᲘᲔᲑᲣᲚᲘ 6 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-Ს ᲔᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ.

ᲩᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲠᲮᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲜᲘᲙᲐ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲝᲜ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ. ᲜᲘᲙᲐ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ, ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡᲗᲐᲡ.

ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲐ ᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜ ᲥᲘᲑᲐᲠ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲛ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ �თᲣ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ, ᲛᲖᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲨᲔᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲓᲒᲐᲗ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲐᲠᲘ ᲔᲗᲥᲕᲐᲗ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲖᲔ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲣᲦᲚᲐ.

„ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲓ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲓᲐᲗ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ, �თᲣ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ, ᲠᲐ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲗ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲐᲠᲐᲗᲣ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲓᲐᲕᲔ ᲛᲮᲐᲠᲔ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲔᲞᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲝᲤᲨᲝᲠᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲓᲐᲜ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲓᲕᲝ�კᲐᲢᲘ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲡᲐᲚᲘᲐ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚᲘᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲘᲡ �გᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲝᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲢᲔᲚᲔᲑᲐᲖᲐᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ ᲘᲛᲗᲔᲚᲐ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲝᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ („ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲫᲕᲘᲠᲘᲐ), ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲠ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲓᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠᲗ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲓᲘᲗ, „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲡᲫᲚᲔᲜᲡ: **„ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲚᲣᲠᲐᲚᲘᲖᲛᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡᲝ. ᲒᲐᲛᲝᲓᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-Ს ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲣᲮᲛᲐᲠᲝ? �თᲣ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲡᲔᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲞᲚᲣᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ? ᲕᲔᲠ �გᲐᲕᲘ�გᲔ, ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ. ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲞᲚᲣᲠᲐᲚᲘᲖᲛᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘᲐ? ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ, ᲠᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ. ᲗᲣ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ**

ᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲜᲣ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲗ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ for.ge-ᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲖᲗᲔᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐᲛ“ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ. ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ: **„ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲠᲬᲛᲣᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲘᲓᲐ. ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲨᲔᲓᲔᲒᲝᲓ ᲐᲠ ᲩᲐᲣᲗᲕᲚᲘᲐ — ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲨᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲑᲐᲠᲐ. Ე.Წ. ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲖᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲘᲨᲝᲠᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲕᲚᲐ ᲠᲔᲐᲥᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ. ᲜᲘᲙᲐ �გᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ, ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲣᲢᲝᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲠᲗᲝᲜᲑᲐ �თᲣ ᲕᲝᲘᲐᲟᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲓᲐᲜ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ. ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ „ᲞᲝᲠᲨᲔᲡ“ ᲛᲐᲠᲙᲘᲡ ᲯᲘᲯᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲖᲔ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲐ“,** — ᲬᲔᲠᲡ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ“.

�თᲣ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲐ, ᲔᲡᲔᲪ ᲐᲩᲔᲜᲡ ᲔᲭᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲛᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲚᲔᲑᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲞᲘᲐᲠᲘᲡᲕᲚᲐᲐ.

„ᲛᲔᲔᲭᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲡ, ᲐᲛᲐᲜ ᲠᲐᲛᲔ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ. ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲞᲘᲐᲠᲘᲡᲕᲚᲐ. ᲣᲜᲓᲐᲗ, ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲝᲜ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲗᲝ. ᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ ᲝᲤᲨᲝᲠᲣᲚ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲘᲥ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲣᲠᲘᲪᲮᲐᲕᲓᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲛᲐ�გᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲔᲑᲓᲐᲜ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ“, — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ for.ge-ᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ **�გᲘᲐ ᲮᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲐᲒᲐᲫᲔ

◎ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲨᲝᲠᲡᲐᲝ, ᲘᲡᲔ ᲒᲣᲚᲘ ᲨᲝᲠᲡᲐᲝ!..

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲒᲣᲚᲘ ᲛᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲐᲜᲢᲐᲟᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ!

ᲚᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲝᲗᲐᲠ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲡ!

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘ ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲜ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-Ს ᲛᲘᲡᲪᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ!

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲝᲗᲐᲠ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲨᲝᲠᲡ ᲮᲐᲠᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ, ᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓᲐᲪ!

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲗ „ᲛᲐᲠᲡᲖᲔ“ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ �გᲐᲥᲕᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ „ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ“! ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ „ᲞᲐᲡᲢᲝᲠᲐᲚᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ „ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ“. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ,

◎ გამსესხებელი და მსესხებელი

ვითომ დაოკდებიან რწყილის გამტყავებელი ბანკები?

ამერიდან ბანკებსა და კერძო პირებს აღარ შეეძლებათ, იძულებით გაუყიდონ ქონება იმ მსესხებლებს, რომლებმაც ქონება სესხის უზრუნველსაყოფად ჩადეს. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქართველოსთვის რევოლუციურად შეიძლება შეფასდეს, რადგან ჩვენში ბევრი ადამიანი ბანკების მძევლად იყო ქცეული, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ მათი ქონების გაყიდვას.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ყველა ბანკისთვის პრეცედენტული გახდება და კონკრეტული შემთხვევის გამო გამოტანილი ვერდიქტი მომავალში საფუძვლად დაედება ანალოგიური სასამართლო შემთხვევების გადაწყვეტას.

კონკრეტულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ საქართველოს ერთ-ერთ ბანკსა და მსესხებელს შორის დავა განიხილა და ამ ბანკს მსესხებლისთვის ქონების იძულებით გაყიდვა აუკრძალა. საუბარია საქმეზე, რომლის თანახმადაც, მოქალაქეს სესხი სხვა ბანკში გადაჰქონდა და ამ დროს ბანკმა მისი დაგირავებული ქონება გაყიდა.

ამჯერად სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა პრინციპს, რომ ბანკმა უფლების დაკმაყოფილებისას უნდა გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომელიც მეტად იქნება შესაბამისობაში მოვალის ინტერესებთან. გარდა ამისა, ბანკმა არ უნდა გაყიდოს ქონება, თუკი არსებობს უფლების დაკმაყოფილების სხვა ალტერნატივა, და ამით ზიანი არ უნდა მიაყენოს მოვალეს, თუნდაც იმ მოვალეს, რომელიც ჯეროვნად ვეღარ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ბანკმა უნდა გაითვალისწინოს მოვალის მდგომარეობა და ხელი შეუწყოს, რომ მოვალემ რეალურად შეძლოს ვალდებულების შესრულება. ამასთან, ამ ტიპის ურთიერთობები დამყარებული უნდა იყოს კეთილსინდისიერების პრინციპზე.

ბანკებს იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვა აეკრძალათ

ქართული საბანკო სისტემის კიდევ ერთ მახინჯ მექანიზმად რჩება ე.წ. საპოლიციო გამოსახლება. ექსპერტები ამბობენ, რომ საბანკო სისტემა ყველაფერს აკეთებს, რათა საპოლიციო გამოსახლება არ გაუქმდეს. არადა, სრულიად გაუმართლებელია, როცა ადამიანს მის მიერ აღებული 20-ათასიანი სესხის გამო 50-ათასიანი ბინიდან ასახლებენ, რომელსაც აუქციონზე უყიდიან, თანაც, ხშირად ბინის ახალი მყიდველი ბანკთან დაახლოებული პირია.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა არაშიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ბანკი ისეთი კომერციული ორგანიზაციაა, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული და ამის გამო არაფერზე უკან არ დაიხევს. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ბანკების მოგება გაცილებით სჭარბობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპს, ნიშნავს, რომ საბანკო სექტორი ყველაზე განვითარებული სექტორია.

მანვე განმარტა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა ბანკებზეც უნდა განივრცოს, მით უმეტეს, რომ ქადაგებისას პატრიარქმაც ბრძანა, ბანკებმა მორალური პრინციპები დაიცვანონ.

პაატა არაშიძის თქმით, შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ ბანკი და მორალური პრინციპი ძალიან შორსაა ერთმანეთისგან, მაგრამ მრავალი ბანკი ახორციელებს ქველმოქმედებას, გარკვეულ პროექტებს აფინანსებს და ცდილობს, საზოგადოების წინაშე დადებითი იმიჯით წარდგეს. ასე რომ, მომხმარებელზე ზრუნვის შემთხვევაში, ბანკის ბიჯი უფრო მეტად გაიზრდება.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ უკეთესი იქნებოდა, ჯერ სასამართლო რეფორმა ჩაგვეტარებინა, ვიდრე ბანკისთვის იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვა აგვეკრძალა.

ექსპერტის თქმით, იმის მიუხედავად, რომ მსესხებელსა და ბანკს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია, ადამიანს მაინც შეუძლია, წავიდეს სასამართლოში და თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ამ დროს კი სასამართლო პროცესი დროშია გაწელილი და რეალური ვადები არ არის დადგენილი. შესაბამისად, მსესხებელი თავის სიმართლეს დროულად ვერ ამტკიცებს.

გარდა ამისა, ემზარ ჯგერენაია ფიქრობს, რომ, საერთოდ, ამგვარ აკრძალვებს უარყოფითი შედეგი მოჰყვება ხოლმე. ამ შემთხვევაშიც, ბანკი უფრო გააძვირებს მომსახურებას და კრედიტის გაცემაც გართულდება.

მანანა ნოზაძე

◎ ჯანდაცვა

თუ თავს არ უფრთხილდები, სხვებს რას ერჩი?

ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტებს, შესაძლოა, „არანებაყოფლობითი მკურნალობა“ ჩაუტარდეთ. როგორც საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე აცხადებს, პარლამენტში დაიწყო განხილვა „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ ახალი კანონპროექტისა, რომლის მიზანიც პაციენტების სრული განკურნება და ტუბერკულოზისგან საზოგადოების დაცვა იქნება, რასაც მანამდე არსებული წესები ვერ აწესრიგებდა.

იმ შემთხვევაში, თუ ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი საქართველოში ტუბერკულოზის მკურნალობასთან დაკავშირებულ ეროვნულ რეკომენდაციებს გარკვეული გაფრთხილებების შემდეგაც არ შეასრულებს და მკურნალობას თვითნებურად შეწყვეტს, ის „არანებაყოფლობით“, იძულებით მკურნალობას დაექვემდებარება. სავალდებულო მკურნალობა ინფექციის საფრთხის თავიდან აცილების წინაპირობა უნდა გახდეს — ასეთია კანონპროექტის ავტორების მოლოდინი. როგორც 5 ოქტომბერს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემაც განაცხადა, კანონის ამოქმედების შემდეგ ტუბერკულოზის მკურნალობისთვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯს კვლავაც სახელმწიფო დაფარავს.

საქართველო იმ 27 ქვეყანას შორისაა, რომლებიც განსაკუთრებით მდგრადი ფორმის ტუბერკულოზის შემთხვევათა სიჭარბით გამოირჩევიან და, ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების თვალსაზრისით, საქართველო ე.წ. „მაღალი ტვირთის“ ქვეყნად ითვლება, გვეუბნება ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორი, პროფესორი ზაზა ავალიანი. მისი თქმით, მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. ახალმა კანონმა ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხრივ ახალი მექანიზმები უნდა შექმნას, ამბობს ის. ავალიანის განცხადებით, არაერთი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიები ყველაზე ხშირად ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. კანონმა ამის პრევენციაც უნდა მოახდინოს. პრევენცია კი ყოველთვის უფრო იაფი უჯდება ქვეყანას, ვიდრე შედეგებთან ბრძოლა:

რას ნიშნავს ტუბერკულოზის „არანებაყოფლობითი მკურნალობა“

„ერთი პაციენტი, რომელიც დაავადებულია ტუბერკულოზის გადამდები ფორმით, ბიოლოგიური იარაღის საფრთხის ტოლფასია, მას შეუძლია დააავადოს 10-15 სხვა მოქალაქე. კანონმდებლობა მოწოდებულია, რომ გავრცელების ეს საფრთხე შემცირდეს და იმ მოქალაქეებს, ვისაც აქამდე ვალდებულება არ ჰქონდა კანონით, რომ მკურნალობას და იზოლაციას დაქვემდებარებოდა, ახლა ამის ვალდებულება გაჩნდება, რათა გარშემომყოფებზე აღარ გავრცელდეს ეს დაავადება“.

ზაზა ავალიანი ამბობს, რომ ტუბერკულოზი განკურნებადია, მაგრამ მხოლოდ იმ ეტაპზე, როდესაც ის მკურნალობას ექვემდებარება. შეწყვეტილი მკურნალობა კი, შესაძლოა, სახიფათო გახდეს არა მხოლოდ პაციენტისათვის, არამედ მის გარშემომყოფთათვის, თითოეული ჩვენგანისთვის ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თავშეყრის ადგილას და ა.შ.

ამ დროს კი დაუსრულებელ მკურნალობათა რაოდენობა საქართველოში 38%-ს აღწევს. ზაზა ავალიანის თქმით, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში ტუბერკულოზით უკვე დაავადებულია 4 000-მდე ადამიანი. გაზრდილია ბავშვთა ავადობის მაჩვენებელიც. როგორც წესი, მათ დაავადება მშობლებისგან გადაეცემათ, ისინი კი ძალიან ხშირად მკურნალობაზე უარს აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამა სრულად ფარავს მკურნალობის ყველა ხარჯს. ზაზა ავალიანი ელის, რომ სწორედ ასეთ ვითარებაში კანონი მშობელს დაავალდებულებს შვილისგან დროებით იზოლირებას და სავალდებულო მკურნალობას.

არც ის უნდა დავივიწყოთ, ამბობს ზაზა ავალიანი, რომ ტუბერკულოზი ქრონიკული დაავადებაა. მისი მკურნალობა შეიძლება 9 თვიდან რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდეს. როგორც წესი, ამ ხანგრძლივ მკურნალობაზე უარს ამბობენ განსაკუთრებით სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსული პატიმრები, რომელთა ნაწილი ამ დაავადების მატარებელია. მოსახლეობას არ ესმის, რომ ეს არ არის „მყისიერი მკვლელი“, ამბობს ზაზა ავალიანი, ეს ჩუმი, ნელი მკვლელია, რომელიც ბოლოს მაინც კლავს.

ჯანდაცვის სპეციალისტი კაკი ზოიძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში შენიშნავს, რომ პაციენტების სავალდებულო მკურნალობა და იზოლაციის პრაქტიკა მიღებულია იმ ქვეყნებში,სადაც ტუბერკულოზის ტვირთი საკმაოდ მაღალია, პაციენტების უმრავლესობა კი მკურნალობის რეკომენდებულ რეჟიმს არ მიჰყვება. თუმცა კაკი ზოიძე მიიჩნევს, რომ როდესაც იძულებით მკურნალობას ვეხებით, განსაკუთრებული სიფრთხილე და, რაც მთავარია, შესაბამისი პირობების შექმნაა საჭირო: **„როდესაც სახელმწიფოს ასეთი საკანონმდებლო ნორმები შემოაქვს, უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ კონკრეტულ სფეროში შექმნას შესაბამისი, სტანდარტებთან მიახლოებული პირობები იმ ავადმყოფებისათვის, რომლებსაც აიძულებ იმკურნალონ. ჩემი აზრით, ჯერჯერობით ასეთი პირობები, კონკრეტულად ტუბერკულოზის მხრივ, ჩვენთან არ არსებობს. უამისოდ კი ასეთი საფრთხილო კანონის ამოქმედება არ შეიძლება. მაგალითად, ესტონეთში, სადაც არის ასეთი კანონი, არის საავადმყოფოც, რომელიც საუკეთესო პირობებით გამოირჩევა და სწორედ იქ უშვებენ პაციენტებს, როდესაც იძულებით მკურნალობას უნიშნავენ“.**

მთელ მსოფლიოში დღეს ტუბერკულოზით დაახლოებით 60 მილიონამდე ადამიანია დაავადებული. ყოველ ათ წამში ამ დაავადებით გამოწვეული გართულებებით ერთი ადამიანი იღუპება. წელიწადში ეს რიცხვი 3 მილიონზე მეტია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, 2013 წელს ტუბერკულოზით დაავადების 9 მილიონი ახალი შემთხვევა გამოვლინდა. მათგან 550 000 ბავშვი იყო. ტუბერკულოზით გარდაიცვალა მილიონ-ნახევარი ადამიანი, 80 000 — ბავშვი.

ეკა ქევანიშვილი

პროკურატურის რეფორმირება კარზეა მოდგარი

— რატომ გახდა მაინცდამაინც დღეს აქტუალური პროკურატურის რეფორმირების საკითხი? ამ შეკითხვით ვიწყებთ საუბარს ცნობილ სამართალმცოდნესთან, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველთან, გენერალ ანზორ ბალუაშვილთან.

ანზორ ბალუაშვილი — ჯერ ის ვთქვათ, რომ ეს პრობლემა დღეს არ დამდგარა. საბჭოთა კავშირში ერთიანი სამართალდაცვითი სისტემა მოქმედებდა, რომელიც მკვეთრად ცენტრალიზებული იყო. საქართველოს პროკურატურა კი ამ სისტემის შემადგენელი ნაწილი გახლდათ და მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურატურას ემორჩილებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში განვითარებულმა მოვლენებმა (პოზიტიურმაც და ნეგატიურმაც) ამ სისტემის პრაქტიკული დაშლა და დეზორგანიზაცია გამოიწვია.

ამის წანამძღვრები იყო ზღვარსგადასული კორუფცია, რომელიც სამართალდაცვით სტრუქტურებს უკურნებელი სენის მეტასტაზებად მოედო; მსოფლმხედველობის რადიკალური შეცვლა, ზნეობრივი ღირებულებების დევალვაცია, ეკონომიკური კრიზისი, სოციალური პირობების ძალიან დაბალი დონე, სიდუხჭირე და, რაც ყველაზე უფრო ტრაგიკული იყო, ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის დაკარგვა.

ამ სიტუაციაში მოექცა სამართალგამოყენებითი ორგანოები და მათ შორის პროკურატურაც. უცილებელი გახდა რეფორმების განხორციელება.

თქვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ, რომ ხალხის მიერ ერთსულოვნად არჩეული ეროვნული ხელისუფლება პრაქტიკულად დაუპირისპირდა თავის თანამებრძოლებს (მიზეზებზე აქ ნუ ვილაპარაკებთ, დავაფიქსიროთ როგორც ფაქტი), რასაც კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივად დამხობა მოჰყვა. ქვეყანა ჩათრეული იქნა სამოქალაქო ომში.

ესეც არ გვეკმარა და აფხაზეთში განვითარებულმა მოვლენებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ჩვენი სახელმწიფოებრიობა და თვით ეროვნული არსებობა.

ასეთ ვითარებაში რეფორმების განხორციელებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ნეგატიური მოვლენების მოძალების პირობებში სახელმწიფოს მაშინდელმა მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ შეძლო საფუძველი ჩაეყარა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის და, რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი გააკეთა ამ ქაოსიდან ქვეყნის თუნდაც დროებით გამოსაყვანად.

1995 წლის არჩევნების ჩატარების და კონსტიტუციის მიღების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა პროკურატურის აუცილებელი რეფორმირების საკითხი, რომლის დამუშავება დაევალა სამართლის სფეროში ყველაზე უფრო კომპეტენტურ სპეციალისტებს.

მიიღეს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, რაც გარკვეულწილად წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

1998 წლიდან მოყოლებული ასპარეზზე გამოდიან ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, რომლებიც არად დაგიდევდნენ არც ეროვნულ, არც კულტურულ, არც ეკონომიკურ, არც ისტორიულ მემკვიდრეობასა და ფასეულობებს და მოითხოვდნენ ისეთი ნოვაციების შემოტანას, რომელთა განხორციელება მათი მზაკვრული გეგმის შემადგენელი იყო.

ამან, პირდაპირ გეტყვით, დაქსაქსა და ერთმანეთს დაუპირისპირა სამართალგამოყენებით საქმიანობაში მომუშავე ძირითადი კადრები, ისეთი დისონანსი შეიტანა, რომ სისტემაში მომუშავე ადამიანებმა სიძულვილით დაუწყეს ერთმანეთს ცქერა. აქედან დაიწყო „შავი ვარდების“ პერიოდი, რომელსაც შემდგომ სააკაშვილის ხელისუფლება განახორციელებდა და რომელიც თაობათა შორის ბიოლოგიურ ზიზღსა და ყველაფრის დაშვების ექსკლუზიურ უფლებაში გამოიხატა.

ამან გამოიწვია კარდინალური, გაუმართლებელი და, ვფიქრობ, მავნებლური ცვლილებების შეტანა არსებულ კანონმდებლობაში. შექმნა ისეთი ვითარება, როცა ჩვენი მოქალაქე ყოველგვარ უფლებას მოკლებული აღმოჩნდა. არად დაგიდევდნენ არც მის ბუნებრივ თავისუფლებას, არც მის საკუთრებას, არც მის წარსულსა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე. შემოიღეს და დაამკვიდრეს ავადსახსენებელი „ჩარეცხილობის“ ყველაფრის უარმყოფელი პრინციპი. ხოლო პროკურატურა ნაცვლად იმისა, რომ გაეხადათ კანონიერების, ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი, აქციეს მონსტრად, ისეთ დაწესებულებად, რომელსაც თვით სასამართლო ორგანოებიც კი დაექვემდებარა.

სასამართლო გახდა იმ აკვიატებული და ავადმყოფური მოთხოვნილების აღმსრულებელი, რომლის მიხედვით საჭირო არ იყო კრიმინალური თუ სხვა სახის სამართალდარღვევის ფაქტების ყოველმხრივი, ობიექტური გამოკვლევა. მთავარი იყო ერთი პირის და მასთან დაახლოებული გარემოცვის ნება, რომ სახელმწიფოს თითქოსდა დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად სავსებით კმაროდა ადამიანების დასჯა.

ასეთი პრაქტიკა დაინერგა და ასობით ათასი ადამიანი, ჩვენი ქვეყნის მოქალაქე დაისაჯა.

საყოველთაოდ შემოღებული იქნა უაღრესად ნეგატიური პრინციპი სასჯელთა შეკრებითობის, რომლის მიხედვით მცირე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ადამიანი შეიძლება 30 წლით ჩამჯდარიყო ციხეში.

— იმ პერიოდში ხალხში გავრცელდა ასეთი ფრთიანი ფრაზა: სასამართლო პროკურატურის ნოტარიული კანტორაა.

— საბედნიეროდ, ამ საშინელებას 2012 წლის ოქტომბერში ბოლო მოეღო. ბუნებრივია, დაიწყო მუშაობა პროკურატურის რეფორმირებაზე, შეიქმნა სახელმწიფო კომისია იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით და მეცნიერ-პრაქტიკოსთა მონაწილეობით. ხანგრძლივი და დაკვირვებული მუშაობით მომზადდა დოკუმენტი, რომელიც მესამე მოსმენით დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

აქ მოცემულია მთელი სპექტრი — მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნის, პროკურატურის კვალიფიციური კადრებით შევსების, საგამოძიებო და საზედამხედველო ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების და ა.შ.

— პარლამენტმა მიიღო კანონი. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ხელს შეუწყობს იმ ხარვეზების (არცთუ ი შვიათად — სერიოზული ნაკლოვანებების) აღმოფხვრას, რომლებიც იმთავითვე თან დაჰყვა პროკურატურის საქმიანობას, ხოლო გამუღავნდა თუნდაც თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადის დარღვევაში, რასაც საზოგადოების რეზონანსული რეაქცია მოჰყვა.

— ვიმედოვნებ, რომ საკანონმდებლო ნოვაციები აღმოფხვრის იმ ნეგატივს, რომელიც თქვენს მიერ ხსენებულ და სხვა არაერთ საქმეს თან ახლავს. ჩვენს ინტერვიუში თქვენ დარწმუნდით, რომ ძალიან ლოიალური ვარ პროკურატურის მიმართ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, უკვე მოუთმენელია ხარვეზებზე, არაკომპეტენტურობაზე საუბარი, თუ ძირეულად, ინსტიტუციურად, კარდინალურად არ გარდაიქმნა თვით სისტემური საქმიანობა. მხედველობაში მაქვს პროკურატურის მიერ არსებული კანონის მოთხოვნების შესრულებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც წლების განმავლობაში ამ სისტემაში ზეობდა და, სამწუხაროდ, გრძელდება. პროკურატურამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია სასამართლოში შინაარსით რთული სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს მოქმედი საპროცესო კანონის, კერძოდ 185 მუხლის მოთხოვნის ელემენტარულ დაცვას (საქმის განხილვის უწყვეტობის შესახებ), კანონის ამ იმპერატიული მოთხოვნის იგნორირებამ კი კატასტროფამდე მიიყვანა მართლმსაჯულება. ამიტომაც აღმოვჩნდით ამ სავალალო მდგომარეობაში. ყოველივე ამან და სხვა გარემოებებმა, რომლებზეც ჯერ არ ვსაუბრობ, ვითარება ისე დაძაბა, რომ ხალხში თავზარდაცემამდე დაამცირა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ამ უმნიშვნელოვანესი ბერკეტის რეიტინგი და მისდამი პატივისცემა. დღეს ჩვენ რეალურად ვიმყოფებით დემოკრატიული, ევროპული სტილის პროკურატურის ჩამოყალიბების წინა პერიოდში. მე მგონი, ამ საფუძველზე დაყრდნობით საქმეც უკეთესად წარიმართება.

— საერთო პრინციპები გასაგებია. შეიძლება კონკრეტულ მაგალითზე აგვიხსნათ? მაგალითად, გარიგების პრაქტიკა, რომელიც ლამის საყოველთაოდ იყო გამოყენებული, დარჩება?

— გარიგების პრაქტიკაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში სამეცნიერო წრეებში და პრაქტიკოსებს შორის ხშირად ვმსჯელობდით ამერიკელი იურისტების პოზიციაზე, რომელიც, მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, ასე იყო ჩამოყალიბებული: სამართლებრივ სისტემაში არაფერი არ შექმნილა იმაზე საშინელი, რომელსაც საპროცესო გარიგება ჰქვია. იგი არის სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო წესით დაშვებული რეკეტისა და კორუფციის უბრწყინვალესი გამოვლინება. სახელმწიფომ მოიცილა წვრილ-წვრილი კორუფციონერები და თვით იქცა კორუმპირებულ მონსტრადო.

ამ ბელგიურ სისტემას (ბელგიაში განხორციელდა პირველად) სათანადო დასაბუთებაც აქვს, და გამოიყენება მაშინ, როცა დანაშაულის ჩადენით პიროვნებას და სახელმწიფოს განსაკუთრებული ზიანი, ვნება არ მიყენებია. სამართალში მიცემულს შეუძლია დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდით, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებით გამოისყიდოს თავისი დანაშაული, რაც სასამართლოს მისცემს უფლებას, გამოიჩინოს მისდამი (სამართალში მიცემულისადმი) ლმობიერება.

ეს მხოლოდ გარკვეული კატეგორიების ისეთ დანაშაულს ეხება, რომელიც დაკავშირებული იყო პიროვნების მიმართ განხორციელებული მსუბუქი ძალადობის, ასევე, სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი არცთუ მნიშვნელოვანი დანაშაულის შემთხვევებში, და არა მკვლელს, ნარკოტიკების გამსაღებელს, პედოფილს და სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენს.

საქართველოში, ყველას ახსოვს, რომ გარიგების გამოყენების დროს, ასეთი გრადაცია უგულებელყოფილი იყო, ხოლო ამ გზით მიღებული თანხა სად მიდიოდა, ვის მიერ და რისთვის იყო გამოყენებული, დღემდე დაუდგენელია. პროკურატურას, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის არც ცოდნა, არც გამოცდილება აღნიშნული სახის დანაშაულის დეტალურად გამოკვლევისთვის.

იგი, ალბათ, გადატვირთულია და ყველაფერ ამისადმი ხელი არ მიუწვდება.

— დარჩება ეს ნორმა რეფორმირების შედეგად?

— სადავოა. შესაძლებელია დარჩეს გარკვეული ცვლილებებისა და დაზუსტების შემთხვევაში, ისე რომ, მართლაც წაადგეს ქვეყანაში მართლმსაჯულების განხორციელებისა და ადამიანის უფლებების დაცვის რეალურ მოთხოვნებს.

— კიდევ რას დააკონკრეტებდით?

— მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს დავუმატებდი, რომელიც ნიშნავს ბრალმდებლისა და ბრალდებულის დაცვის მხარეების აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში ჩაყენების უზრუნველყოფას. დღის წესრიგში დგას საკითხი, რომ დაკავების პირველივე წუთებიდან ეჭვმიტანილის დაკითხვის უფლება მიეცეს მხოლოდ სასამართლოს. გამოძიება წარიმართება სასამართლოს ზედამხედველობით, მხოლოდ და მხოლოდ ბრალდებულისა და მისი ადვოკატის (ადვოკატების) მონაწილეობით და ორივე მხარის უფლების უზრუნველყოფით მოიპოვონ მტკიცებულებები, ან გამოითხოვონ ისინი.

მოკლედ რომ ვთქვა, დაკავებული და თვითმხილველები მიჰყავთ სასამართლოში და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება გამოძიება.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

— ხომ არ დაკვირვებიხართ, რომ გართულებულ სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს საქართველოს ყოფილი ხელისუფლების ნარჩენები დღევანდელი ხელისუფლების უუნარობით ხსნიან და უტევენ ყველა დაშვებული თუ აკრძალული ხერხითა და საშუალებით?

— ზღვარსგადასული უზნეობისა და ყველაფრის კადრების დემონსტრაციაა მათი „ოპოზიციონერობა“.

მაშინ, როცა ქვეყანა უნდა შეიკრას მოსალოდნელ საფრთხეებთან საბრძოლველად, დესტრუქციული ძალები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების სახით გააქტიურდნენ ერის გასახლეჩ მოქმედებაში.

გულის ამრევია, როცა უსმენ მათ გააფთრებულ შეტევას საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრზე, საქართველოს დღევანდელ მთავრობაზე.

პირდაპირ გეტყვით, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან კარგი სალმის მეტი არავითარი ურთიერთობა არ მაქვს. მაგრამ რახან სიტყვამ მოიტანა, გეტყვით იმას, რაც ვიცი და მანაც იცის. ფართო საზოგადოებამ კი — არა.

1980-იან წლებში, როცა იური ანდროპოვმა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით განახორციელა ეგზეკუცია ე.წ. საქმოსნების წინააღმდეგ, რომელთაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო ქონების დატაცება, საქართველოში ამ „სადამსჯელო ექსპედიციას“ ასობით ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა.

მაშინ თბილისის კამოს სახელობის მექანიკურ ქარხანაში ლაბორატორიის გამგედ მუშაობდა სრულიად ახალგაზრდა კაცი — ბიძინა ივანიშვილი. მუშის თანამდებობიდან დაიწყო და ქარხანაში საქმიანობის მეცხრე წელს უკვე სერიოზულ და საპასუხისმგებლო უბანს ხელმძღვანელობდა.

იხ. 9 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

136-მა ახალწვეულმა ფიცი დადო

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის 136 ახალწვეულმა სამხედრო ფიცი დადო.

ღონისძიებებს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. ფიცის დადების შემდეგ ჯარისკაცებმა საკუთარი საბრძოლო უნარების დემონსტრირება მოახდინეს.

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტში ჯარისკაცები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლიან. შესაბამისი წვრთნების შედეგად სამხედრო საქმიანობას შეისწავლიან და პროფესიულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ. ასევე, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში მიიღებენ მონაწილეობას, უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებითა და კვებით. სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ, წარჩინებული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, შესაბამისი კონკურსის გავლის შემთხვევაში, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში დასაქმდებიან.

ტელეკომპანიის ნამდვილი საკაშვილი ბრძანდება!..

ვესაუბრებით ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატს პაატა სალიას

— ვინ არის ქიბარ ხალვაში, რამდენად სამართლიანად ფლობდა ის „რუსთავი-2“-ს და საერთოდ, როგორ მოხდა ეს ტელეკომპანია მის ხელში. ოპონენტები აპელირებენ იმაზეც, რომ ქიბარ ხალვაში ფულს ათეთრებდა...

— ამ პერიოდში მე არ წარმოვადგენდი ქიბარ ხალვაშის ნდობით აღჭურვილ პირს. მე მის და მისი კომპანიების ინტერესებს 2007 წლიდან ვიცავ (ეს ის პერიოდია, როცა მას მოუწია საქართველოს დატოვება).

რაც შეეხება „რუსთავი-2“-ის შეძენას. მაშინ ტელეკომპანია გაფორმებული იყო პაატა კარსანიძის სახელზე (უფრო სწორედ დვალისა და აქიმიძის 2/3 წილი, ხოლო 1/3 ჰქონდა ეროსი კიწმარიშვილს. ქიბარ ხალვაშმა ეროსი კიწმარიშვილს გადაუხადა დაახლოებით 6 მილიონი დოლარი (ეს იყო კიწმარიშვილის მიერ მოთხოვნილი თანხა). ასევე მოხდა ქიბარ ხალვაშის მიერ აქიმიძისა და დვალის ვალდებულებების შესრულება, განახორციელა რამდენიმე მილიონის ინვესტიცია კომპანიაში. აღსანიშნავია, რომ კომპანიის 10 პროცენტის მფლობელი იყო ნიკა ტაბატაძე, რომელიც გავიდა საზოგადოებიდან, როგორც პარტნიორი. ამის მერე ქიბარ ხალვაში ხდება „რუსთავი-2“-ის 100 პროცენტი წილის მფლობელი (60 პროცენტი იყო გაფორმებული მასზე, როგორც ფიზიკურ პირზე, ხოლო 40 პროცენტი — მის კუთვნილ კომპანიაზე).

ეს ხდება 2004 წელს. 2006 წელს კი ქიბარ ხალვაშს მოუწია ამ წილის დათმობა. ერთი წლით ადრე 2005 წელს, მას ხელისუფლებამ დაათმობინა კომპანიის 22 პროცენტი, ხოლო დანარჩენი — 2006 წელს. ქიბარ ხალვაშის განცხადებით, ეს ყველაფერი ხდება მიხეილ სააკაშვილის მეცადინეობით. იმ პერიოდში მმართველი გუნდის გაღიზიანება გამოიწვია „რუსთავი-2“-ის სარედაქციო პოლიტიკამ . კერძოდ, კულმინაცია გახდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გაშუქება. ჯერ ეს სიუჟეტი გავიდა „კურიერში“ და შემდგომ გააშუქეს სააკაშვილის ვიზიტი შეერთებულ შტატებში. ამან მაშინდელი პრეზიდენტის არნახული გულისწყრომა გამოიწვია. მეორე ეპიზოდი იყო, როცა პირველ სიუჟეტად გაუშვეს ერთ-ერთ სასჯელაღსრულებაში არსებული პრობლემები, ხოლო ამის შემდეგ გავიდა ინფორმაცია განათლების რეფორმის განხორციელების შესახებ.

— ანუ ეს ორი ეპიზოდი გახდა მაპროვოცირებელი ფაქტორი?

— დიახ. ქიბარ ხალვაშის თქმით, მმართველ გუნდს ხელს არ აძლევდა ის სარედაქციო პოლიტიკა, რასაც მაშინ „რუსთავი-2“ ახორციელებდა...

— ერეოდა თუ არა ტელეკომპანიის მეპატრონე სარედაქციო პოლიტიკაში?

— არა, არ ერეოდა, მაგრამ მისგან მიითხოვდნენ, გაეკონტროლებინა „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო სივრცე. რაზეც მან უარი განაცხადა. სწორედ ამან დაძაბა სიტუაცია. მას აიძულებდნენ ნიკა ტაბატაძე გაენთავისუფლებინა საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობიდან. ქიბარ ხალვაშმაც გაათავისუფლა ნიკა ტაბატაძე, სულ რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე მას ტელეკომპანიის წილებს დაათმობინებდნენ. ქიბარ ხალვაში ყვება, რომ ამის შემდეგ იგი შეხვდა მიხეილ სააკაშვილს სამუშაო კაბინეტში, პრეზიდენტი გაცხარებული იყო, სადაც გაახმიანა მუქარანარევი გაფრთხილება რომ აჯობებდა ტელეკომპანიის წილები დაეთმო... ხალვაში იძულებული გახდა ეს გაეკეთებინა. ფორმალურად წილები ორ სუბიექტზე გადაფორმდა: ერთი იყო „საქცემენტი“, რომელიც იყო დავით ბეჟუაშვილის კუთვნილი კომპანია და მეორე იყო „იოლტრანსი“ (ფაქტობრივად, მაშინ ეს კომპანია არაფერს არ წარმოადგენდა. მისი მფლობელი და დირექტორი იყო ნიჟარაძე, რომელიც იმდროინდელი მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელის დიმიტრი ქიტოშვილის ახლობელი იყო... ეს ადამიანი მუშაობდა „ჯეოსელში“, არ იყო ბიზნესმენი და არც იმის სახსრები გააჩნდა, რომ ამხელა ტელეკომპანია შეეძინა). ხელშეკრულებაში ჩაიწერა წილების ღირებულების ფასი — 200 ათასი დოლარი, რაც რეალურად არ შეესაბამებოდა ტელეკომპანიის ღირებულებას. მოგეხსენებათ, მაშინაც და ახლაც „რუსთავი-2“ გავლენიანი მაუწყებლობა იყო. მით უმეტეს, ქიბარ ხალვაშმა შეიძინა მრავალი მილიონის ღირებულების გადამცემები, რითაც ტელეკომპანია 2015 წლამდე ანუ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამდე იყენებდა. გაისტუმრა ტელეკომპანიის ვალდებულებები, შეიძინა საერთაშორისო პროექტები, რომელმაც გაზარდა პოპულარობა და რეიტინგი, განაახლა სტუდია და დაგეგმილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება...

— რამდენი გადაუხადეს ქიბარ ხალვაშს?

— არაფერი. არც ერთი თეთრი არ მისცეს! ტელევიზიის დატაცების შემდეგ ქიბარ ხალვაშის მიმართ იწყება დაძაბული პერიოდი და დასრულდა 2007 წელს, როცა ყველა მის კუთვნილ კომპანიაში სამხედრო ტექნიკის მეშვეობით გაჩერდა სამუშაოები. ხალვაშის კომპანიები აშენებდა გორის სამხედრო ბაზას, გლდანის ციხეს და ამ ობიექტებზე განათავსეს თავდაცვის სამინისტროს ტექნიკა, ხოლო იქ დასაქმებული პირები იძულებით გამოიყვანეს. მშენებლობის გაგრძელების უფლება სხვა კომპანიებს გადასცეს. ამას გარდა ქიბარ ხალვაშს დაუწვეს კომპანია „არტი“, შეიძლება ითქვას შვილივით ნაზარდი. მან ბიზნესი 90-იან წლებში დაიწყო და 2000 წლისთვის უკვე ევროპული ტიპის კომპანია ჩამოაყალიბა. („ვარდების რევოლუციამდეც“ რამდენიმე მილიონიან ბიზნესს ფლობდა. ასე რომ, იმის მტკიცება, თითქოს ნაციონალებმა შეუქმნეს მას ბიზნესი, სიმართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება ოქრუაშვილს, იგი ხალვაშის ერთ-ერთ კომპანიაში იურისტად მუშაობდა. მეგობრობდა, მაგრამ პოლიტიკაში ხალვაში არასოდეს ჩარეულა. არასოდეს დაუფინანსებია არავინ, არც ოქრუაშვილი. ხალვაშს ინტერესი პოლიტიკაში არ ჰქონია იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილმა მას რამდენჯერმე თანამდებობა შესთავაზა, აჭარის მეთაურის პოსტით დაწყებული). „არტი“, რომელიც საყოფაცხოვრებო ნივთებით ვაჭრობდა, საეჭვო ვითარებაში დაიწვა და რამდენიმე მილიონით იზარალა. დაზღვევა ჰქონდა ქიბარ ხალვაშს, მაგრამ სადაზღვევო კომპანიამ არ აანაზღაურა საგადასახადო ორგანოების პირდაპირი მითითებით. ასეთი არნახული ზეწოლის პირობებში მოუხდა მას საქართველოს დატოვება. შეგახსენებთ, რომ ამ დროს აბსურდული ბრალდებით დააკავეს ხალვაშის ძმა და მეგობარი. ითხოვდნენ ხალვაშისაგან თანხების გადახდას.

ამის შესახებ მას სარჩელი შეტანილი აქვს პროკურატურაში. იგი ამბობს, რომ ჯერ კეზერაშვილი სძალავდა 30 მილიონს, შემდეგ ახალაიები პირდებოდნენ 10 მილიონად პრობლემის მოგვარებას. საბოლოოდ, ქიბარ ხალვაში აიძულეს, დაეთმო ერთ-ერთი კომპანია, რომლის დავალიანებაც ჰქონდა სახელმწიფოს (7 მილიონი, თუმცა, რეალურად კიდევ უფრო მეტი იყო ვალი). ამ პროცესში უკვე მეც ვმონაწილეობდი, როდესაც შუაღამე, დაგვიბარეს და მოითხოვეს წილების გაფორმება. გვაიძულეს, ჩამოგვეყვანა ხალვაშის თურქი ინვესტორი, პარტნიორი. ჯერ უნდოდათ გაეფორმებინათ იმათზე, ვისაც დაასახელებდნენ. მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ ძალიან თეთრი ძაფით იქნებოდა ნაკერი და ორ თანამშრომელზე გააფორმეს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი წესების დარღვევით...

— ხალვაშის კუთვნილი კომპანიის თანამშრომლებზე?

— დიახ, მაგრამ ეს ხალხი უკვე დამუშავებული ჰყავდათ და მათ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები აკონტროლებდნენ. გახსოვთ, ალბათ, ირაკლი ოქრუაშვილის გირაოს თემა. სწორედ ამ კომპანიას მოხსეს ერთ დღეს ყადაღა, სახელმწიფომ გადაიხადა დავალიანება 7 მილიონი, რომელიც ამ კომპანიის მიმართ გააჩნდა. ეს თანხა მაშინვე გადაირიცხა ოქრუაშვილის გირაოს თანხად და მეორე დღესვე ისევ დაადეს ყადაღა.

— და ეს ტრიუკი რას ნიშნავდა. ფაქტობრივად, სახელმწიფოს გადაუხდია ოქრუაშვილის გირაოს თანხა?

— ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ როგორმე ქიბარ ხალვაშის სახელი ოქრუაშვილთან დაეკავშირებინათ. ნუ გავიწყდებათ, რომ ეს მოხდა ქიბარ ხალვაშის ნების საწინააღმდეგოდ. და ეს ძალიან კარგად იციან ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

— და მაინც, კონკრეტულად როდიდან იწყება ქიბარ ხალვაშის სამართლებრივი ბრძოლა?

— 2007 წლიდან. ჩვენ იმ უსამართლო ხელისუფლების პირობებში დავიწყეთ სამართლებრივი მექანიზმებით ბრძოლა. მით უმეტეს, რომ უსამართლო საგადასახადო მანიპულაციების გამოყენებით 60 მილიონამდე ვალი დაარიცხეს ქიბარ ხალვაშის კომპანიებს.

„რუსთავი-2“-ის საქმე

— „რუსთავი-2“ განყენებული თემაა. იმიტომ რომ ეს მოხდა იძულებით, კერძო გარიგების საფუძველზე და ამის შესახებ 2008 წელს მიმართა ხალვაშმა საქართველოს პროკურატურას. ამის დამადასტურებელი მასალები დევს. ის ამბობდა, „მე წილები ჩამომართვეს იძულებით და ვითხოვ წილების დაბრუნებას “. აქედან მოყოლებული დიდი იმედი ჰქონდა, რომ 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ამ საკითხის ფორსირება მოხდებოდა პროკურატურაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ რამდენიმე პირი დაიკითხა, მაგრამ არანაირი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

— ახლა რატომ გააქტიურდა ეს საქმე?

— ახლა არ გააქტიურებულა, ჩვენ გავააქტიურეთ ეს ამბავი და გავახმაურეთ. როდესაც ქალბატონმა წულუკიანმა განაცხადა, რომ ხელისუფლების სურვილი იყო, განეტვირთა სტრასბურგი იმ საქმეებისგან, რომელიც წინა ხელისუფლების დროს აღიძრა და მზად იყვნენ მოსალაპარაკებლად, ჩვენ მივმართეთ იუსტიციის მინისტრს ქიბარ ხალვაშის საქმესთან დაკავშირებით. მისი პასუხი იყო, ამ ეტაპზე პროცედურები არ არის დაწყებულიო. ყველაფერმა ამან შეუქმნა ხალვაშს წარმოდგენა, რომ ეს ხელისუფლებაც არ აპირებდა მისი დარღვეული უფლებების აღსადგენად დახმარებას.

— საინტერესოა, რა არგუმენტები გაქვთ ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით. გასულია ვადა თუ არა, კონკრეტული პასუხი რომელია?

— ხანდაზმულობის ვადა არ დარღვეულა იმ საფუძვლით, რითაც ჩვენ ვითხოვთ. ჩვენ ვამბობთ, რომ ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მიზეზით არ დარღვეულა. 1) ჯერ კიდევ მაშინ მიმართა ქიბარ ხალვაშმა პროკურატურას სარჩელით, როცა იძულება გრძელდებოდა. 2) ჩვენ ვამბობთ, რომ მოხდა ამორალური ხელშეკრულების დადება (მაშინ „რუსთავი-2“ ღირდა დაახლოებით 7 მილიონი, მაგრამ რეალურად გაფორმდა 200 ათასი დოლარის ხელშეკრულება). ამას განაპირობებს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების ერთობლიობა. ეს ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ამიტომ ამორალური სახის ხელშეკრულებაზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. არც ერთწლიანი და არც სამწლიანი, და არსებობს ამის პრეცედენტებიც. ჩვენს ამ პოზიციას სასამართლო პროცესებზეც დავადასტურებთ.

— კონკრეტულად, რას ითხოვთ „რუსთავი-2“-ის დღევანდელი მეპატრონეებისგან. ისინი არიან თუ არა კეთილსინდისიერი მფლობელები?

— ჩვენ მივმართეთ სასამართლოს იმის გამო, რომ „რუსთავი-2“-ის წილები სხვა მფლობელების ხელში გადასულია ქიბარ ხალვაშის ნების საწინააღმდეგოდ. ამდენად ისინი ვერ მიიჩნევიან კეთილსინდისიერ მყიდველებად. თუნდაც რომ იყვნენ კეთილსინდისიერი მყიდველები, არსებობს კანონისმიერი ვალდებულება, რომლის თანახმადაც, პირველ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს კუთვნილი წილები. ეს არის მოკლე ფაბულა ჩვენი სარჩელისა. იქ ასევე არის საუბარი ინტელექტუალურ საკუთრებაზე, ლოგოსთან დაკავშირებით და ა. შ. თუმცა, ჩემი პირადი აზრით, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხებია, წილების დაბრუნების ფონზე. მთავარი სხდომა 19 ოქტომბერს არის ჩანიშნული, სადაც საქმის არსებითი განხილვა დაიწყება.

— და მაინც, საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია „რუსთავი-2“-ის ფინანსებზე დადებულმა ყადაღებმა, რომელიც განხორციელდა თქვენი განცხადების საფუძველზე.

— დიახ. პირველი განჩინება 5 აგვისტოს გამოიტანა სასამართლომ „რუსთავი-2“-ის ქონების დაყადაღების თაობაზე. მოხდა დღევანდელი პარტნიორების, რეგისტრირებული მესაკუთრეების წილების დაყადაღება და ასევე აუკრძალა მათ გარკვეული მოქმედებების განხორციელება, მათ შორის დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღება.

— რა მიზეზით?

— ჩვენ საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი გვაქს, რომ „რუსთავი-2“-ის ფინანსური მდგომარეობა (ეს გამომდინარეობს მათ მიერ გასაჯაროებული აუდიტორული დასკვნებიდან), შეიძლება ბევრ ხარვეზს შეიცავდეს, ყველაფერი წესრიგში არ იყოს. ან შეიძლება არსებობდეს ვალდებულებები, რომელიც ხელოვნურად არის

(ფარული) მესაკუთრე

ქიბარ ხალვაშის სიმართლე „რუსთავი-2“-ის „სიმართლის“ წინააღმდეგ

შექმნილი იმისთვის, რათა დამძიმდეს ტელეკომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მით უმეტეს მომავალში.

მაგრამ ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო ერთი მთავარი დეტალი, რომელიც ჩვენი მცდელობის მიუხედავად არსად არ გაშუქდა. „რუსთავი-2“-ს ერთ-ერთ ბანკთან (ბანკს შეგნებულად არ დავასახელებ), გაფორმებული ჰქონდა სესხის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების შესაბამისად „რუსთავი-2“-ს აღებული ჰქონდათ განსაკუთრებული ვალდებულება, რომლის მიხედვითაც ბანკისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე არ უნდა აეღოთ დამატებითი ფინანსური ვალდებულება არავისგან. ანუ თუკი ასეთი აუცილებლობა დადგებოდა, „რუსთავი-2“-ს უნდა მიემართა ბანკისთვის, წერილობით აეხსნა და დაესაბუთებინა, რისთვის სჭირდება დამატებითი ფინანსები, ან ბანკისთვის ეთხოვა ფინანსური სახსრები... ანუ შეზღუდვები „რუსთავი-2“-ს უკვე ჰქონდა, მთელი მისი ქონება დატვირთული იყო ბანკის სასარგებლოდ.

როცა ჩვენ დავაყადაღებინეთ „რუსთავი-2“, იქვე ვთქვით ასეთი რამე: **თუკი მის ჟურნალისტურ საქმიანობას ხელი შეეშლება და ამისთვის დასჭირდება დამატებითი სახსრები, მოგვმართონ წერილობით, დაასაბუთონ და ჩვენ იმის მიხედვით, რამდენად რეალური იქნება ეს მოთხოვნა, მზად ვართ, შემხვედრი ნაბიჯები გადავდგათ. ანუ რა ვალდებულებაც ჰქონდათ ბანკთან, იგივე ვადებულება ეძნებოდათ ჩვენთანაც. ამდენად, ვერავინ ვერ იტყვის იმას, რომ ამ ყადაღებმა ტელეკომპანიის შემოქმედებით საქმიანობას პრობლემები შეუქმნა.**

— ანუ აპელირება იმაზე, რომ არსს სერიოზული ფინანსური კრიზისი აქვს, სიცრუეა?

— რა თქმა უნდა, სიცრუეა, „რუსთავი-2“ საკმაოდ ოსტატურად იყენებს სასამართლო ყადაღისა და აკრძალვის თემებს. ამაში ბადალი არ ჰყავთ. ყველამ ნახა, რომ „რუსთავი-2“ ჩვეულებრივად აგრძელებს მაუწყებლობას და მას პრობლემები არ შექმნია.

— რაც შეეხება მეორე ყადაღას...

— რამდენიმე დღის წინათ, არხის მეპატრონეებს თუ მენეჯმენტს ჰქონდა მცდელობა, განეხორციელებინათ ის, რისიც გვეშინოდა. მათ უნდოდათ, დამატებითი ვალდებულებებით დაეტვირთათ ორგანიზაცია.

— თქვენ როგორ მოიპოვეთ ეს ინფორმაცია?

— საჯარო რეესტრის საიტს ონლაინ რეჟიმში ყოველდღიურად ვაკვირდებოდით. მაგრამ განსაკუთრებით გავაქტიურდით 17 სექტემბრის სასამართლო სხდომის შემდეგ, სადაც დღევანდელი მეპატრონეებისგან მოვითხოვეთ ზიანის ანაზღაურება 18 მილიონის ოდენობით. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი მიიჩნევს, რომ მისი რომ ყოფილიყო არხი, ან ყოფილიყო პარტნიორი, ის ამ ხნის განმავლობაში ამ ოდენობის შემოსავალს მიიღებდა (ეს მოთხოვნაც ეფუძნება მათ მიერვე წარმოდგენილი აუდიტორულ დასკვნებს). ამ მოთხოვნების შემდგომ ვარკვევთ, რომ საჯარო რეესტრში წარმოდგენილია ხელშერკულება, რომლის მიხედვითაც „რუსთავი-2“-ის ერთ-ერთი პარტნიორი, 51 პროცენტის მფლობელი ტელეკომპანია „საქართველოს“ წილები, რომელსაც ძმები ყარამანიშვილები ფლობდნენ სხვისდება დიმიტრი ჩიქოვანზე. ეს სახელი და გვარი ჩემთვის არაფერს ნიშნავდა, მაგრამ როცა ხალვაშთან გადავამოწმე, მან მითხრა, ვიცი, ვინც არისო. ეს არის კეზერაშვილის ცოლის ძმაო. კეზერაშვილი კი ამ თემებში მუდმივად ფიგურირებდა, 2012 წელს ერთი პერიოდი „რუსთავი-2“ სრულად მასზე იყო რეგისტრირებული. ანუ ხალვაშის პოზიცია არის ასეთი: **მას შემდეგ, რაც მე წილები წამართვეს, ეს იყო მუდმივად ნაციონალური ხელისუფლების ხელში, შესაბამისად მთელ ამ ჯაჭვში ვინც არ უნდა იყვნენ მეპატრონეები, ისინი არიან ფაქტობრივი მფლობელები, ნომინალური ადამიანები, ხოლო რეალური მესაკუთრე დგას მათ უკან და ეს არის მიხეილ სააკაშვილი!**

— მაშინ რისთვის სჭირდებოდა სააკაშვილის არსს სხვადასხვა პირებზე გადაფორმება სხვადასხვა დროს?

— შეიძლება სხვადასხვა ეტაპზე ამა თუ იმ პირების მიმართ მეტ ნდობას იჩენდა... ასეთია ხალვაშის მოსაზრება. აღსანიშნავია, ისიც, რომ არც ერთ შემთხვევაში წინა მესაკუთრეს მომდევნოსაგან რეალურად ფული არასოდეს მიუღია. ყველამ იცის, რომ „რუსთავი-2“-ს უძრავი ქონება საკუთრებაში სახელმწიფომ გადასცა. ამის მერე „რუსთავი-2“ მათ თავისი ქონების ნაწილი ტელეკომპანია „საქართველოს“ გადასცა, გარკვეული ფინანსური ვალდებულებების სანაცვლოდ, მაგრამ არავინ იცის, შესრულდა თუ არა ეს ფინანსური ვალდებულება. შემდგომ უკვე ტელეკომპანია „საქართველომ“ „რუსთავი-2“-ისგან მიღებული ქონება ისევ უკან შემოაბრუნა და მიიღო 51 პროცენტი.

— ამ წილის გასხვისება იგეგმებოდა 6 მილიონად?

— არა 6 მილიონად, არამედ 400 ათას დოლარად. ჩიქოვანი ძმებ ყარამანიშვილებს გადაუხდიდა ამ თანხას, ხოლო „საქართველოს“ დაქვემდებარებულ კომპანიაში შემოიტანდა 6 მილიონს სრულიად უსასყიდლოდ, კომპანიაში, რომელსაც ადევს ყადაღა, აქვს დავები, შემოსავლებს ვერ ზრდის და ა. შ. სრულიად უსასყიდლო ფული არ არსებობს. რომელი ბიზნესმენი ჩადებს ფულს კომპანიაში, რომელიც შეიძლება ხვალ სხვისი გახდეს?! „რუსთავი-2“-ის მტკიცებით, ფული უნდა შეეტანა საწესდებო კაპიტალში. მაგრამ ეს ვერ მოხდებოდა, რადგან აკრძალული ჰქონდათ ამის გაკეთება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისად, თუ შემოვიდოდა ეს ფული (თუკი საერთოდ შემოვიდოდა, რისი დიდი ეჭვი გვაქვს) ეს ლეგალური ფორმით მაინც ვერ მოხდებოდა. ეს იყო საეჭვო გარიგება!

— მაშინ რისთვის დასჭირდა ეს თამაში „რუსთავი-2“-ს?

— ის მიიღებდა იმას, რაც დღეს მიიღო. ორი გამოსავალი ჰქონდა. ერთი — გაატარებდნენ იმ ფულს, აჩვენებდნენ თითქოს „რუსთავი-2“-მა შემოსავალი მიიღო და შემდეგ, თუკი ქიბარ ხალვაში თავის წილებს დაიბრუნებდა, უჩნდება კრედიტორი, რომელმაც 6 მილიონი შემოიტანა. ანუ არარსებული ფულის მიღებით, ქიბარ ხალვაშს დამატებითი ვალდებულება გაუჩნდებოდა. დანამდვილებით ეს არ ვიცით, მაგრამ როცა ვაანალიზებთ, ასეთ დასკვნებამდე მივდივართ: **„რუსთავი-2“-ს ეს 6 მილიონი ვალად დაედებოდა. ვეჭვობთ, რომ შეიძლება მსგავსი „ნალმები“ ჩადებული იყოს კიდეც ამ ტელეკომპანიაში. სწორედ ამის პრევენცია მოვახდინეთ, როცა მივმართეთ სასამართლოს. ჩვენი აზრით, რომ „რუსთავი-2“-ს არა აძვს ისეთი მდგომარეობა, რომ საძმიანობა ვერ გაგრძელოს.** საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში მოხდა ეს ყველაფერი, მაგრამ სასამართლო ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ მიეღო გადაწყვეტილება. ყადაღა დაედო ტელეკომპანია „საქართველოს“. სხვა მხრივ, სულაც არ იყო გამორიცხული ხვალ და ზეგ „რუსთავი-2“ გაკოტრებულად გამოცხადებულიყო.

მეორე, რასაც ეს თემა ემსახურება, ისაა, რაც სახეზე გვაქვს, რომ თითქოს, ჩვენ ხელს ვუშლით ტელეკომპანიის საქმიანობას და ახლა ითხოვენ თითო ლარით დახმარებას...

მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ყადაღების თემა არავითარ შემთხვევაში არ ეხება მედიის საქმიანობის ხელყოფას, ხელშეშლას... პირიქით!!!

— თქვენი საუბრიდან ირკვევა, რომ ამ საქმეთან ხელისუფლებას კავშირი არა აქვს, თუმცა, ნიკა გვარამია საზოგადოებას არწმუნებს, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილი დგას ამ ყველაფრის უკან.

— ყველაფერი შეიძლება თქვან... მეტიც, ქიბარ ხალვაში ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობასთანაც კი დაკავშირეს... ეს არის ამაზრზენი, რაც „რუსთავი-2“-ის ეთერით ისმის. არანაირი კავშირი კიწმარიშვილთან ქიბარ ხალვაშს არა აქვს... მაგრამ ისინი ცდილობენ, ქიბარ ხალვაშის მარგინალიზაციას. მეტიც, რატომღაც ტელეკომპანიის მენეჯმენტი იმაზე მეტად აქტიურობს, ვიდრე ნომინალური მეპატრონეები. ყარამანაშვილების ხმაური სადმე გაგიგიათ?!

— ნიკა გვარამიამ ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, რომ როგორც იურისტმა, ზედმიწევნით შეისწავლა ტელეკომპანიის დოკუმენტაცია, ვიდრე მენეჯმენტში მოვიდოდა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. შეიძლება მართლაც ისეა „გასუფთავებული“ ყველაფერი, რომ შედავება გაგიჭირდეთ. მტკიცებულებითი მასალები გაქვთ?

— გვარამია ორ თემაზე ამახვილებს ყურადღებას: გასულია ხანდაზმულობის ვადა და კომპანიას ჰყავს კეთილსინდისიერი მეპატრონეებიო. ამ ორივე ასპექტზე ჩვენ არგუმენტები გვაქვს, და ამას სასამართლოზე წარვადგენთ. ჩვენი აზრით, არც ხანდაზმულობის ვადაა გაშვებული და არც კეთილსინდისიერი შემძენები არიან დღევანდელი მეპატრონეები. რა თქმა უნდა, ამის დამტკიცება რთული იქნება, მაგრამ ჩვენ სამართლებრივი პოზიციები გვაქვს.

— ქიბარ ხალვაშს კომპენსაცია რომ მოეთხოვა?

— მისი მიზანია კომპანიის უკან დაბრუნება. კომპენსაციის მოთხოვნა არ ყოფილა, თუმცა, არც მეორე მხარისგან წამოსულა ამ მხრივ ინიციატივა. ისინი ცდილობენ ამ თემის პირდაპირ პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანას.

— და მაინც აქვს რაიმე კავშირი ქიბარ ხალვაშს ივანიშვილთან?

— არა!

— იყო თუ არა ჩამოსული ხალვაში გერმანიიდან საქართველოში?

— დიახ... რამდენჯერმე იყო. საკმაოდ დიდხანს ელოდა, რომ ეს ხელისუფლება კანონის ფარგლებში რაღაც ნაბიჯებს გადადგამდა თუმცა, უშედეგოდ.

— და ხომ არ უცდია, ერთიერთში ესაუბრა ამ საკითხზე ივანიშვილთან?

— ჩემი ინფორმაციით, არა... არასოდეს არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. ერთადერთი წერილობით მივმართავდით პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს.

— და რა მოხდება, თუ ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გადაწყდება დავა, რა ემუქრება „რუსთავი-2“-ს?

— ვიცნობ რა ქიბარ ხალვაშს, „რუსთავი-2“-ის საქმიანობას ხელი არ შეეშლება. ის სასამართლო გზით იბრძვის და არა სხვა მეთოდებით. თუკი ქიბარ ხალვაში დაიბრუნებს „რუსთავი-2“-ს, რაღაც ცვლილებები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ არხი არავითარ შემთხვევაში არ გაჩერდება. მით უმეტეს, არც ერთ შემთხვევაში არ ჩაერევა სარედაქციო პოლიტიკაში.

— რამხელაა თქვენი შანსები?

— ჩვენი აზრით, შანსები გვაქვს. სასამართლოს სამი ინსტანცია გვაქვს გასავლელი. სავარაუდოდ, დროში გაიწელება. საკმაოდ რთული დავაა, თუმცა, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ჩვენი სარჩელი დაკმაყოფილდეს. ჩვენ მომხრე ვართ, არ მოხდეს ამ საქმის პოლიტიზირება. ჩვენ ვიბრძვით ნომინალური მეპატრონეების წინააღმდეგ, მაგრამ გვიწევს იმ გვარების დასახელება, ვინც ამათ უკან დგანან, ვინც ჩამოართვა წილები ქიბარ ხალვაშს. და ეს მოხდა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის კაბინეტში. უნდა ითქვას, რომ „რუსთავი-2“-ის ეპიზოდი იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რის გამოც ქიბარ ხალვაშს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა და პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა. ეს არის ფაქტების კონსტანტაცია და არა პოლიტიკური დავა.

— ბატონო პაატა, ამ სიმართლით დიდ შარში გახვიეთ ხელისუფლება, არა?

— ასე გამოვიდა, რადგან „რუსთავი-2“-ის მესვეურებს ხელს აძლევთ აჟიოტაჟი, რომ თითქოს მედია იდევნება, საფრთხე ემუქრება, რომ ხელისუფლება უხეშად ერევა არხის საქმიანობაში და ა. შ. მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, ვინაიდან სიმართლე ჩვენს მხარესაა.

— გვარამია მოსამართლესაც გადასწვდა და დაემუქრა კიდეც: თქვენი აზრით, ასეთი გამოსტომებისთვის პასუხი არ უნდა აგოს?!

— ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი თემებია. რაც შეეხება მოსამართლის თემას, იმ კონკრეტული მოსამართლის გადასაწყვეტია, რა რეაგირება ექნება, ჩემი აზრით, შეურაცხმყოფელ განცხადებებზე. სხვას ვერაფერს ვიტყვი.

სხდომები ღიაა, „რუსთავი-2“-იც პროცესს იწერს, ამიტომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, დაესწროს და ნახოს, როგორ მიმდინარეობს სასამართლო. საზოგადოებას შეუძლია, თავადაც გააკეთოს დასკვნა: ვის მხარეს არის სიმართლე.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული ოპოზიცია ახალ რევოლუციას ელოდება

მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლებმა მთავრობის დაუყოვნებლივი გადადგომა მოითხოვეს

თბილისში გაიმართა ოპოზიციური პარტიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიტინგი — პარტია საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. აქციის დროს პირველად გაისმა მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნებისა და ამჟამინდელი მთავრობის გადადგომის შესახებ. მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ასეთი სცენარი გამორიცხულია, ისინი ბრალს სდებენ ოპონენტებს ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობაში.

თბილისში მიტინგი გაიმართა ბიძინა ივანიშვილის „მინის სასახლესთან“ — საქართველოს დედაქალაქში ასე უწოდებენ მილიარდერის ფუტურისტულ რეზიდენციას, რომელიც მან რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ააგო 1990-იანი წლების ბოლოს. ხმაურიან დემონსტრაციაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაახლოებით ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. სასახლის კომპლექსის კართან მათ ელოდა რამდენიმე ასეული პოლიციელი, რომლებმაც მათ გზა გადაუკეტეს ტყვიაგაუმტარ მინის კარებთან. მოპროტესტეებმა საპასუხოდ გადაკეტეს გზა, რომელსაც სასახლემდე მივყავართ. **„თუ რაიმე მოხდა, ჩვენ მას იქიდან საერთოდ არც გამოვუშვებთ და არც შევუშვებთ“,** — აცნობა ჟურნალისტებს აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ. **„ყველა გადაწყვეტილებას ჩვენს ქვეყანაში ღებულობს ეს რუსი ოლიგარქი. და არა ფორმალური პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა.

როდესაც გზა გადაკეტეს, აქციის მონაწილეებმა გაშალეს პარტიული დროშები და პლაკატები „რუსთავი-2“ ლოგოტიპის გამოსახულებით. **„ჩვენ ორი ძირითადი მიზანი გვაქვს — როგორ დავიცვათ სიტყვის თავისუფლება და გავათავისუფლოთ უსამართლოდ დაპატიმრებულები“,** — განაცხადა სამართალდამცველმა ნინია კაკაბაძემ. აქციის გამართვის საბაბი გახდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სამი აქტივისტისათვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის მისჯის შესახებ. ნიკა ნარსია, მირიან დეისაძე და კახა გაბუნია დაპატიმრეს მას შემდეგ, რაც 3 ოქტომბერს პარლამენტის შენობასთან პიკეტის დროს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დაცვის დროს, როგორც პროკურატურა ამტკიცებს, სცემეს დეპუტატი მმართველი კოალიციიდან დავით ლორთქიფანიძე.

ოპოზიციონერები განსაკუთრებით აღშფოთებით იხსენებდნენ მიტინგზე „შერჩევითი სამართალდაცვის“ შემთხვევებს. „დეპუტატ ლორთქიფანიძის დახეული პიჯაკის გამო ახლა ახალგაზრდა ბიჭები შეიძლება ჩასვან 7 წლით“, — აღშფოთებას გამოთქვამდა მიტინგზე დეპუტატი გივი თარგამაძე, რომელსაც რუსეთში ბრალს სდებენ 2012 წელს ანტისამთავრობო აქციის ორგანიზებაში და მასობრივ უწესრიგობაში ბოლოტნაიას მოედანზე.

„ყველაფერი მომხდარი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით მოწმობს იმის შესახებ, რომ ქვეყანა მიემართება უფსკრულისაკენ, ივანიშვილის ნამდვილი დიქტატურისაკენ, რომელსაც შეუძლია გაძლოს მხოლოდ რუსეთის ხიშტების დახმარებით“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში დავით დარჩიაშვილმა. თავიდან ავიცილოთ პრორუსი ოლიგარქის მიერ „დიქტატურის დამკვიდრება“, მოუწოდა მიტინგზე კულტურის ყოფილმა მინისტრმა გოკა გაბაშვილმა, რომელმაც გაგვაფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, „საქართველო გადაუხვევს პროდასავლური გზიდან“.

ხელისუფლებამ აქციას „მინის სასახლესთან“ ხაზგასმული სიმშვიდით უპასუხა: პიკეტის არც ერთი მონაწილე არ იქნა დაკავებული, თუმცა, ფორმალურად მათ დაარღვიეს კანონი, როდესაც გადაკეტეს კერძო სახლთმფლობელის გზა. იმის გათვალისწინებით, რომ მორიგი არჩევნები საქართველოში ერთი წლის შემდეგ უნდა გაიმართოს, ხელისუფლებამ გამორიცხა ვადამდელი კენჭისყრის განხორციელების შესაძლებლობა.

Коммерсант

პრეზიდენტი ქართული დიპლომატიით უკმაყოფილოა... და არა მხოლოდ

აშშ პრეზიდენტის ბარაკ ობამას გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე „მტკივნეული“ აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გიორგი მარგველაშვილისთვის. ირიბი ბრალდება იმისათვის, რომ ამერიკელმა კოლეგამ არც ერთხელ არ ახსენა თავის გამოსვლაში საქართველო, ოპოზიციური ტელეარხის „რუსთავი-2“-სთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა დააკისრა ქართულ დიპლმატიას. გიორგი მარგველაშვილი უკმაყოფილო დარჩა შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს მუშაობითაც. პრეზიდენტის კრიტიკას რეაგირება საქართველოს მთავრობაში გაუკეთეს.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე უნდა წარმოედგინა მას და არა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. ამის შესახებ სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე მარგველაშვილი დადებითად გამოეხმაურა საქართველოს პრემიერის გამოსვლას გაეროს ტრიბუნიდან, მაგრამ ამჟამად პრეზიდენტმა აღიარა, რომ იგი მიესალმა მისი სიტყვის მხოლოდ შინაარსს, მაგრამ „არავითარ შემთხვევაში იმ ფაქტს, რომ გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს“.

გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ მას, როგორც პრეზიდენტს შეუძლია გააძლიეროს ქართული დიპლომატიის პოზიციები და აჩვენოს კიდეც მისი ხარისხი გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. მთლიანად პრეზიდენტი უკმაყოფილო დარჩა გენერალური ასამბლეის მუშაობის შედეგებით და ახსნა კიდეც რატომ: **„გაეროს ტრიბუნაზე იდგა შეერთებული შტატების პრეზიდენტი და საუბრობდა რუსეთზე, აგრესიულ პოლიტიკაზე, რომელსაც რუსეთი ახორციელებს თავის მეზობლებთან დაკავშირებით. ერთადერთი მაგალითი, რომელიც მოიყვანა პრეზიდენტმა ობამამ, იყო უკრაინა. და ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველომ პირველმა იწვნია რუსეთის აგრესია. საქართველო — ესაა ქვეყანა, რომლის ტერიტორიაც ოკუპირებულია რუსეთის მიერ. საქართველოს ხსენება იქნებოდა სავსებით ბუნებრივი, რომ ეთქვა ჯერ საქართველოს, შემდეგ კი უკრაინის შესახებ. რთულია თვალყური ადევნო იმას, თუ როგორ საუბრობენ შენთვის მტკივნეულ საკითხებზე, მაგრამ არ გესმოდეს სიტყვები, რომლის მოსმენაც გსურდა. მე უნდა გავაკრიტიკო თუ არა ახლა ამისთვის პრეზიდენტი ობამა? რასაკვირველია, არა“,** — ხაზგასმით აღნიშნა მარგველაშვილმა.

სახელმწიფოს მეთაურის სიტყვებით, უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ „საქართველო არ გაქრეს საერთაშორისო რადარებიდან“. და თუ „საქართველოს ყოველთვის არ იხსენებენ მაღალი ტრიბუნიდან“, ამაზე პასუხი უნდა ვაგოთ. ამ დროს პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, თუ ვინ ჰყავდა მხედველობაში, მაგრამ მისი გზავნილი მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

„მიზეზად, თუ რატომ არ იყო მოხსენებული პრეზიდენტ ობამას გამოსვლაში საქართველო, მე დავასახელებდი იმას, რომ უკრაინა დღეს არის უფრო გამოკვეთილი ცხელი წერტილი. იქ მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, მაგრამ გარკვეული თვითკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების გამოსვლის შემდეგ გამიჩნდა მეც და ამას არ ვმალავ. მომავალში ეტყობა, ჩვენ მეტი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართული თემა ყოველთვის აქტუალური იყოს“, — ნაწილობრივი დაეთანხმა პრეზიდენტს საგარეო საქმეთა მინისტრი.

კატეგორიული იყო საქართველოს მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე: **„იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც აღიარეს, ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა, შემცირდა ერთით. მუდმივად იზრდება იმ რეზოლუციების მხარდაჭერა რომლებსაც საქართველო წარადგენს კენჭისსაყრელად. ჩვენ ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, ჩვენ მივიღეთ ნატოს ღონისძიებათა არსებითი პაკეტი, ჩვენ მუდმივად მივიწევთ წინ ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო ლიბერალიზაციის საკითხში. ჩვენ მართლაც ბევრი მიღწევა გვაქვს, ამიტომ მე არ შემიძლია დავეთანხმო პრეზიდენტის განცხადებას, თითქოს საქართველო ქრება ან „გაქრა რადარებიდან“.**

მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის პრეტენზიების სია ქართული დიპლომატიის მუშაობისადმი, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი ამით არ დამთავრებულა. გიორგი მარგველაშვილი უკმაყოფილო დარჩა იმითაც, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს როგორ მოიქცა საქართველოს ელჩი ამ ქვეყანაში არჩილ გეგეშიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ეს ახსნა ასე: **სახელმწიფოს მეთაური და დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური უბრალოდ სხვადასხვა ქალაქებში აღმოჩნდნენ იმ დროს, როდესაც გენერალური ასამბლეის ფარგლებში ხორციელდებოდა ყველაზე პასუხსაგები ღონისძიებანი.**

პრეზიდენტ მარგველაშვილის ტელეგამოსვლაში გაისმა სხვა პრეტენზიებიც, რომლებსაც არ ჰქონიათ ურთიერთობა ამასწინანდელ ვიზიტთან, მაგალითად, მან განაცხადა, რომ ქვეყანაში ცდილობენ მოახდინონ დისკრედიტაცია სასამართლოებისა, რომლებიც ღებულობენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. ინტერვიუს დასკვნით ნაწილში მან მოუწოდა ქართველ პოლიტიკოსებს, მხარი დაუჭირონ ოპოზიციურ ტელეარხ „რუსთავი-2“-ს, რომლის ხელმძღვანელობასაც ამჟამად აქვს დავა სასამართლოში ტელეარხის მართვის უფლებისათვის. პრეზიდენტი დაგვპირდა „დაიცვას „რუსთავი“-2. მთავრობაში ამ სიტყვებს ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ უკეთებენ.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

წყაროებმა განაცხადეს სირიაში რუსეთის ახალი ავიადარტყმების შესახებ, კერძოდ პამისა და იდლიბის პროვინციებში

ამ დროს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში წინა დღით ჩააბარეს ანგარიში იმის შესახებ, რომ სამშაბათს სირიის ხმეიმიმის ავიაბაზიდან რუსეთის ავიაციის თვითმფრინავებმა დაახლოებით 20 საბრძოლო გაფრენა მოაწყვეს. სუ-34, სუ-24-მ და სუ-25-ის ეკიპაჟებმა დარტყმები მიაყენეს ზურგის ინფრასტრუქტურის 12 ობიექტს, მართვის პუნქტებს. მომზადების ბანაკებსა და „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების ბაზებს.

* * *

გაეროს გენერალური ასამბლეის ექს-თავმჯდომარე დაპატიმრეს ბრალდებით

ჯონ ეში დააპატიმრეს 6 ოქტომბერს. ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ გენერალურ ასამბლეაში მუშაობის დროს ის ღებულობდა დიდ თანხებს დიდი მოთამაშისგან ჩინეთის უძრავი ქონების ბაზარზე — 1,3 მილიონი დოლარის ოდენობით. ფული ეშმა საქმიანი ცენტრის ბიზნესმენის კომპანიის მშენებლობის ხელშეწყობისთვის მიიღო.

* * *

ევროკავშირი აპირებს მოახდინოს 400 ათასი არალეგალი მიგრანტის დეპორტირება — ამტკიცებს პრესა

ბრიუსელი იმუქრება გაიწვიოს თავისი დახმარება, სავაჭრო გარიგებები და სავიზო შეთანხმებანი, თუ ისეთი ქვეყნები როგორიცაა ნიგერია და ერიტრეა, უარს იტყვიან, მიიღონ უკან თავისი ეკონომიკური მიგრანტები, ნათქვამია „დი ტაიმსის“ სტატიაში. გამოცემის მონაცემებით, გეგმა ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის სახელმწიფოებში ათასობით მიგრანტის დაკავებას, რათა შეეცადოს დეპორტაციის თავიდან აცილებას.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ცხელეებიდან 6 ათასი ტუსაღი გაანთავისუფლეს

დამნაშავეები, რომლებიც სასჯელს ფედერალურ ციხეებში იხდიან, გათავისუფლდებიან 30 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აქცია ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პატიმართა რიცხოვნობის ერთობლივი შემცირების თვალსაზრისით.

◎ აქტუალური დიალოგი

პროკურატურის რეფორმირება კარზეა მომდგარი

(მეხუთე გვერდიდან)

დარიეს მაშინ ხელი ამ ქარხნის წამყვან სპეციალისტებს და ციხეში უკრეს თავი. ბრალად წაუყენეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების გატაცება, რაც სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას ითვალისწინებდა. მოვლენებს გავუსწროთ და ვთქვათ, რომ ანდროპოვის სიკვდილმა გადაარჩინა ბრალდებულები ამ სასჯელს.

ანზორ ბალუაშვილი იმ დროს გენერალურ პროკურატურაში მუშაობდა და მოუწია გარკვეულ საქმეებზე ზედამხედველობის განხორციელება. იგი პირადად გახდა მოწმე, როგორ დარეკა სახელმწიფო უშიშროების საკავშირო კომიტეტის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, გენერალ-ლეიტენანტმა მოსკოვიდან და იკითხა: ნუთუ მაგ ქარხანაში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც მაქინაციებში არ იყოო გარეული?

უპასუხეს, რომ არის ერთი ასეთი, სრულიად ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც თოთო ბავშვის ცრემლივით წმინდა იყო.

ბიძინა ივანიშვილზე უთხრა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შოთა ზარდალიშვილმა, რომელსაც ეს ინფორმაცია კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების უფროსისგან კალე ხვიტიასგან ჰქონდა მიღებული.

– დიახ, ასე იყო. უფრო მეტიც, ამ ქარხნის თანამშრომლები გაოგნებულები იყვნენ იმით, რომ ეკონომიკურად შეჭირვებული ახალგაზრდა როგორ უძლებდა ყოველგვარ ცდუნებას, თუნდაც ამიტომ ვცემ პატივს ამ პიროვნებას, – **განაგრძობს ბატონი ანზორი,** – რომელმაც უმწიკვლოდ განვლო თავისი შრომითი გზა. საქართველოში ქონება არ უშოვია, მილიარდზე მეტი კი დაახარჯა. დაუფასეს? რას არ აკადრებენ! ძნელია მონომახის ქუდის ტარება! იობის მოთმინებით იტანს კარგად დაფინანსებული და გაწვრთნილი პროვოკატორების გესლის ნთხევას.

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი მახსენდება. საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ ნამუშევარი ახალგაზრდა კაცი დიმიტრი ჩიკვაიძე საქართველოში „საქნახშირის“ მმართველად გადმოიყვანეს. ჩვენი ოჯახის ახლობელი იყო. ერთხელ მოწმე გავხდი, როგორ დაიჩივლა: – რა ვქნა, რა მოვუხერხო ამ ხალხს, სულ უკმაყოფლო რომ არისო?!

მეშახტეების ერთ ჯგუფზე ამბობდა, ამ პროფესიის ადამიანები მთელ კავშირში ყოველმხრივ ფასდადებულები იყვნენ.

ერთმა ღირსეულმა ადამიანმა, რომელიც „მუდმივად მზარდი მოთხოვნილების“ ფენომენის ბუნებაში კარგად იყო გარკვეული, ასე უპასუხა:

– ჩემო დიმიტრი, ბედნიერი ხარ, რომ ასეთები ცოტა გყავს, შენი ახალი „ვოლგა“ რომ გაყიდო და იმ ფულით დიდი ნადიმი მოუწყო მათ, სუფრას ჩიტის რძეც რომ არ აკლდეს, მაგრამ თითო კაცზე ნახევარი შემწვარი „ტაბაკა“ მოდიოდეს, მაინც და მაინც ამ წვრილმანს გამოეკიდებიან და მეორე დღესვე ხელმძღვანელ ორგანოებში გააგზავნიან „ანონიმკას“: მთლიანი „ტაბაკა“ გვეკუთვნოდა და ამ უზნეო პიროვნებამ ნახევარი დაგვაკლოო.

ჭირთათმენის პერიოდი უდგას ბიძინა ივანიშვილს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი ახალგაზრდობაშიც, როცა თბილისში საქმიანობდა, და მაშინაც, როცა მოსკოვში გადავიდა და მილიარდერი გახდა, მოქმედებდა დადგენილი სამართლებრივი და მორალური ნორმების სრული დაცვით. მაღალი ზნეობის ადამიანია.

ესაუბრა
არმაზ სანეგლიძე

P. S. ასე იყო მაშინ, მაგრამ ახლა რომელი „ნახევარტაბაკა“ დააკლო ხალხს ბიძინა ივანიშვილმა?

სოციალიზმის ეკონომიკურ პროგრამაში ჩაწერილი ხალხის მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა, დღევანდელ ვითარებაში, როგორც ჩანს, „ნაცების“ – „მთავარი ოპოზიციური ძალის“ – სამოქმედო პროგრამაში მუდმივად მზარდი დაუკმაყოფილებლობის განწყობილების ხალხში გასავრცელებელ ხელისუფლებასთან დაპირისპირების ამოცანად ტრანსფორმირდა.

ა. ს.

◎ ამერ-იმერი

ინისტრი „რთველი 2015“-ს წარმატებულად აფასებს

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია „რთველი 2015“-ს წარმატებულად აფასებს. მინისტრმა ბრიფინგზე კახეთის რეგიონში მიმდინარე რთველთან დაკავშირებითაც ისაუბრა. როგორც ოთარ დანელიამ აღნიშნა, კახეთში მიმდინარე რთველი დასასრულს უახლოვდება.

„მიუხედავად იმისა, რომ იყო ვნებათაღელვა, ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ ეს იყო უფრო ცრუ განგაში, ვიდრე რეალურად რაიმე ობიექტურზე დაყრდნობით ინსპირირებული. კახეთში დიდი რაოდენობით ყურძენი გადამუშავებულია, თუმცა ჯერ კიდევ მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, დინამიკა შემცირებულია, რადგან ცოტაა დარჩენილი“, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, წლევანდელი რთველი უნდა შეფასდეს როგორც წარმატებული. ამასთან დაკავშირებით, ოთარ დანელიამ რამდენიმე მიზეზი დაასახელა.

„პირველ რიგში, იმიტომ, რომ დიდი რაოდენობით გადამუშავდა და ეს იმ პირობებში, როცა მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა. მეორე იმიტომ, რომ აქ იყო ჯანსაღი მოთხოვნა მიწოდების, საბაზრო პირობების, რთველის ორგანიზებულად ჩატარების პრეცედენტი და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან უნდა განვითარდეს დარგი და ეს ხელს შეუწყობს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი ღვინის წარმოებას საქართველოში. ასევე, გასულ რთველში იყო შემცირებული ტენდენცია ყურძნის რეგიონებში გატანისა და რეალიზაციის. ჩვენი ოპერატიული მონაცემებით, 20-დან 30 ტონამდე ყურძნის რეალიზება მოხდა რეგიონებში, ასევე გასულ რთველში იყო შემცირებული ტენდენცია ყურძნის რეგიონებში გატანის და რეალიზაციის“, – აღნიშნა დანელიამ. როგორც მინისტრმა აღნიშნა, რამდენიმე დღეში რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში დაიწყება რთველი. მისი თქმით, რთველის საორგანიზაციო საკითხები, ფაქტობრივად, დასრულებულია. „სახელმწიფო მზად არის, ჩაიბაროს ჭარბი ყურძენი, იმიტომ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონი. არც ერთი რეგიონი არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენ არ ვმალავთ და პირიქით ვახალისებთ ჩვენს თანადგომას მაღალმთიან რეგიონებთან მიმართებაში. თქვენ იცით, რომ ამ მიმართულებით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც შეიქმნა და ჩვენთვის მნიშვნელოვანია მაღალმთიანი რეგიონების ხელშეწყობა“, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

როგორც მინისტრმა განმარტა, სახელმწიფო მოსახლეობიდან 1 კილოგრამ მწიფე (კონდიციურ) ალექსანდროულისა და მუჯურეთულის მიღებას 5 ლარად, ხოლო არაკონდიციური ყურძნის, რომლის შაქრიანობაც 21 გრადუსზე ნაკლები იქნება 3 ლარად მოახდენს, ძელშავისა და შერეული ჯიშის ყურძენში კი სახელმწიფო 70 თეთრს გადაიხდის. ამასთან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მოსახლეობიდან ყურძნის მიმღები 6 პუნქტი გაიხსნება.

კიევში „თბილისობა“ აღინიშნა

კიევის ცენტრში, ანდრეევსკის დაღმართზე, „თბილისობა“ გაიმართა, რომელსაც 3ნ ათასზე მეტი სტუმარი დაესწრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიება ოფიციალურად კიევის მერიის კულტურის დეპარტამენტის უფროსმა დიანა პოპოვამ და უკრაინაში საქართველოს ელჩმა მიხეილ უკლებამ გახსნეს.

მათივე განმარტებით, ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის კულტურული და გასართობი ღონისძიებები: კონკურსები, ვიქტორინები, ფოტოგამოფენა სახელწოდებით „ძველი თბილისი“, ინტერაქტიული ინსტალაცია „თბილისის ეზო“, ლიტერატურული საღამო ივანე კავალერიძის მუზეუმში.

„დამსწრეთათვის კონცერტი გამართა ცნობილმა მუსიკალურმა კოლექტივმა „თეატრალური კვარტეტი“. საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ქართველთა ასოციაციის „იბერიელი“ შემოქმედებითმა კოლექტივმა, უკრაინის დამსახურებულმა მუსიკალურმა ანსამბლმა „გორლიცა-არტ“, ცნობილმა უკრაინულმა მუსიკალურმა ჯგუფმა „ვროდა“, სერგეი გლადირმა, შმაგი თეგიაშვილმა, ანიკო დოლიძემ და სხვებმა. „თბილისობაში“ მონაწილეობა მიიღეს ქართული ღვინისა და მინერალური წყლების კომპანიებმა და 20-მდე ქართულმა რესტორანმა. ღონისძიება ფართოდ გააშუქა უკრაინის მასმედიამ“, – აცხადებენ საგარეო უწყებაში.

მოანესრიგეთ პირადი საბუთები

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მოქალაქეებს, პირადი დოკუმენტების მოწესრიგების მიზნით, უწყების მიერ გამოცხადებული აქციებით სარგებლობისკენ მოუწოდებს.

როგორც თეა წულუკიანმა საარჩევნო სიებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე კომენტირებისას განაცხადა, სიების დახვეწის პროცესი გრძელდება.

„თქვენ იცით, რომ ჩვენ პირველად შარშან შემოვიტანეთ ბიომეტრული ფოტოსურათიანი საარჩევნო სია, რომელმაც ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დაუსვა წერტილი ე.წ. კარუსელების კულტურას. ჩვენ ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას, მათ შორის რეგისტრაციიდან მოხსნილი, უმისამართლო და იმ პირებისთვის, ვისაც პირადობის მოწყობა არ გაუგრძელებია ან აქვს ძველი მოწყობა, რომელზეც ფოტო არ იკითხება და საარჩევნო უბანზე შეუძლებელია პირის იდენტიფიკაცია. ასევე ვაგრძელებთ მუშაობას იმ პირებისთვის, ვისაც ახალი პირადობის მოწმობა ჯერ არ აუღია. ოქტომბრიდან წამოვიწყეთ პროექტი შუალედური და მომავალი წლის არჩევნებისთვის. მინდა, მოვუწოდო ყველას, ისარგებლონ ჩვენი აქციებით, მათ შორის უფასო აქციებით, რომლებიც ცხადდება და კიდევ გამოცხადდება“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, ამჟამად გამოცხადებულია და 21 ოქტომბრამდე გაგრძელდება აქცია, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს ბიომეტრული პასპორტის შეღავათიან ფასში აღება შეუძლიათ.

ინტერპრესი

◎ ამერ-იმერი

საბერძნეთში არალეგალურად ყოფნის მიზეზით 40-მდე ქართველია დაკავებული

საბერძნეთში საქართველოს ელჩის იოსებ ნანობაშვილის ინფორმაციით, საბერძნეთში არალეგალურად ყოფნისთვის 40-მდე ქართველია დაკავებული, თუმცა, ისინი ამ ეტაპზე არ შიმშილობენ, – ამის შესახებ ნანობაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც, ათენის წინასწარი დაკავების იზოლატორში 40 ქართველი შიმშილობს. როგორც ნანობაშვილმა აღნიშნა, აღნიშნული 40 ადამიანი ერთ დღეში არ დაუკავებიათ, არამედ ეს დაახლოებით, ბოლო 2-3 კვირის განმავლობაში დაკავებულთა საერთო რაოდენობაა. მისივე თქმით, საკონსულოს დაწყებული აქვს ყველა საჭირო პროცედურა, იქნება ეს უკან დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა და თუ სხვა რისი საჭიროებაც დადგება. „ასე რომ შეშფოთების საფუძველი არ არსებობს“, – დასძინა ელჩმა.

რაც შეეხება შიმშილობის შესახებ ინფორმაციას, ელჩის თქმით, საბერძნეთში მყოფმა ადგილობრივმა ქართველებმა დაუზუსტებელი ინფორმაცია გაავრცელეს. როგორც საბერძნეთში საქართველოს ელჩმა აღნიშნა, ეს არ არის ქართველების მიმართ ღონისძიება, არამედ ზოგადად, უცხოელი მოქალაქეების ლეგალურად ყოფნის საკითხს ამოწმებენ. როგორც ელჩმა აღნიშნა, საკონსულოსთვის არავის მიუმართავს.

დარღვევებზე უკვე პროკურატურაში იმსჯელებენ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასჯელაღსრულების სამინისტროს შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებული მასალები პროკურატურას გადაუგზავნა. „ვინაიდან აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევები დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, შესაბამისი მასალები პროკურატურას გადავუგზავნეთ“, – განმარტეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

მათივე ინფორმაციით, მასალები მოიცავს როგორც უწყების თანამშრომლებზე 2013-2014 წლებში გაცემულ პრემიებთან დაკავშირებულ ფაქტებს, ისე კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერების შესახებ ინფორმაციას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, სასჯელაღსრულების სამინისტროში 2013-2014 წლებში თანამშრომლებზე გაცემული პრემიების გადაწყვეტილება ხშირად დაუსაბუთებელია. ასევე, აღნიშნულ პერიოდში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით 14 ტენდერი ჩატარდა და ყველა ტენდერში გამარჯვებულად შპს „ბ.d.d.“ გამოვლინდა.

ინტერპრესი

◎ კარატე

დანიასა და გერმანიაში

18 ძვეძნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ დანიაში დასრულებულ ვადორიუს მე-18 ევროპის ჩემპიონატში. საქართველო შეჯიბრებაზე 10-კაციანი დელეგაციით წარსდგა. ჩვენმა ბიჭებმა 2 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოქროს მედალი ხვდათ კადეტ ვაჟებს (12-13 წ.წ. – ტარიელ სამხარაძე, ლუკა ხვედელიანი, გიორგი აფციაური) გუნდურ კუმიტეში. მეორე „ოქრო“ ინდივიდუალურ კუმიტეში (14-15 წ.წ.) ნიკიტა ბელიავსკიმ (-63 კგ) დაიმსახურა. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალი 12-13-წლიანებში ერგო ტარიელ სამხარაძეს (ინდივიდუალური კუმიტე, -57 კგ). იუნიორებში ზურაბ შუკვანმა (16-17 წ.წ. -68 კგ) იყოჩაღა – ინდივიდუალურ კუმიტეში მესამე ადგილი დაიკავა. ტურნირზე ჩემპიონატის 5 საუკეთესო მსაჯი გამოავლინეს და მათ შორის ორი ქართველია – მალხაზ ხვედელიანი და ვასილ მაღლაკელიძე.

* * *

გერმანიის ქალაქ კობურგში გაიმართა „პრემიერ ლიგა“ კარატეში, სადაც საქართველოს ნაკრების წევრმა დავით ტყეებუჩავამ მესამე ადგილი დაიკავა და მსოფლიო კარატეს რეიტინგში რამდენიმე საფეხურით დაწინაურდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ძალოსნობა

ბალტიისპირული ნადავლი



კლაიპედაში (ლიტვა) გამართულ 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ათლეტებმა: 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში რამინ შამილიშვილმა 120 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. ამდენივე დაძლია უნგრელმა გერგელ შუკიმ, მაგრამ იგი ქართველზე 200 გრამით მძიმე აღმოჩნდა და ვერცხლის მედალი ხვდა. 110 კილოგრამით მესამე იყო თურქი ემრე მალაქში. აკვრაში 147 კილოგრამით პირველი ადგილი შუკიმ დაიკავა. 146 კილოგრამით ვერცხლის მედალი ემრე ბუიკუნლუს (თურქეთი) ერგო. შამილიშვილი 142 კილოგრამით „ბრინჯაოს“ დასჯერდა. ორჭიდში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. გერგელი შუკი (უნგრეთი, 267=120+147), 2. რამინ შამილიშვილი (საქართველო, 262=120+142), 3. ლევი ბარი (ისრაელი, 237=109+128).

ამავე ასაკში გიორგი ლომთაძემ (77 კგ) 147 კილოგრამი აიტაცა, რამაც ვერცხლის მედალი მოუტანა. ქართველ ძალოსანს 3 კილოგრამით აჯობა რაზმიკ უნანიანმა (რუსეთი), რომელმაც ოქროს მედალი დაიმსახურა. 145 კილოგრამით მესამე ადგილი ანდრეს ედუარდო მატამ (ესპანეთი) დაიკავა. აკვრაში პირველი-მეორე ადგილები მატამ და უნანიანმა გაინაწილეს, ხოლო ლომთაძეს 175 კილოგრამით „ბრინჯაო“ ხვდა. **ორჭიდი:** 1. რაზმიკ უნანიანი (რუსეთი, 338=150+188), 2. ედუარდო მატა (ესპანეთი, 333=145+188), 3. გიორგი ლომთაძე (საქართველო, 322=147+175).

ლაშა დიდია

◎ ძალა ერთობაშია

მინისტრებმა და ვეტერანებმა „ბორჯღალოსანთა“ მხარდასაჭერად ითამაშეს

„შევარდენის“ რაგბის სანაკრებო ბაზაზე მსოფლიოს თასზე წარმატებით მოთამაშე საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მხარდასაჭერი მატჩი გაიმართა, სადაც მონაწილეობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, ვეტერანმა მორაგბეებმა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა მიიღეს.

ამხანაგური მატჩის – „მინისტრები და ვეტერანები ბორჯღალოსნებისათვის“ მიზანი ქართველ მორაგბეთა მხარდაჭერა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა გახლდათ. შეხვედრა ფრედ 5:5 დასრულდა. სამახსოვრო თასები ორივე გუნდის შემადგენლობაში მოთამაშე მინისტრებს გადაეცათ, სპეციალური პრიზი გამძლეობისათვის კი ვეტერან მორაგბეს –ავთო ღიბრაძეს ერგო.

შეხვედრას დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალექსანდრა ჰოლ ჰოლი და მთავრობის სხვა წევრები – ინფრასტრუქტურისა და რეგიონული მართვის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე, პარლამენტარი ირაკლი ტრიპოლსკი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე, ასევე სხვადასხვა სამინისტროების და რაგბის კავშირის წარმომადგენლები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები დაესწრნენ.

მატჩის მხარდამჭერი იყო „ვითიბი ბანკი“, ხოლო ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მხარდაჭერას შეუერთდა სუხიშვილების ცეკვის აკადემია. „სუხიშვილებმა“ მატჩის დაწყებამდე „შევარდენის“ სტადიონზე მისულ გულშემატკივარს საცეკვაო ფლეშმობი შესთავაზეს. შეხვედრაზე იმყოფებოდა ცნობილი მომღერალი ნინო სურგულაძეც მისი საქველმოქმედო ფონდის ბენეფიციარ ბავშვებთან ერთად.

მატჩის კომისარი დავით კილურაძე გახლდათ, მსაჯი – მალხაზ კოროშინაძე, ხოლო კომენტატორი – ნიაზ მამრიკიშვილი.

კობა კობახიძე

◎ დეგიუტიც ასეთი უნდა

სექტემბერში მარსიალი გამოარჩიეს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგი ფორვარდი ანტონი მარსიალი ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ პრემიერლიგის სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ენკენისთვეში მარსიალმა ოლდ ტრაფორდელთა რიგებში 3 საპრემიერლიგო მატჩი ჩაატარა და 3 გოლის გატანაც მოახერხა. ამასთან, ლუის ვან გაალის გუნდმა სექტემბერში გამართული სამივე ბრძოლა მოიგო.

ანტონი მარსიალი მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდზე“ გასულ ზაფხულს მივიდა და უმალ იქცა „წითელი ეშმაკუნების“ ერთ-ერთ წამყვან ფიგურად.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის (PFA) ვერსიით ინგლისის პრემიერლიგაში სექტემბერში მეორე ადგილზე „ლესტერ სიტის“ წევრი რიად მარეზა გავიდა, მესამე კი „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ მოთამაშე დიმიტრი პაიეტია.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

მეოთხედი საუკუნის შემდეგ

ისე მოხდა, რომ ორგანიზატორთა დაუდევრობით დღეს თბილისში გასამართი ორი უმნიშვნელოვანესი მატჩის – საქართველო – გიბრალტარი (ფეხბურთი) და „ვითა“ – ცსკა (კალათბურთი) დაწყების დრო ერთმანეთს დაემთხვა, თუმცა, დარწმუნებულნი ვართ, რომ სპორტის მოყვარულთა სოლიდური ნაწილი არჩევანს ჩვენს დედაქალაქში არმიელთა ვიზიტის სასარგებლოდ გააკეთებს და 20 საათზე მეორედ დაბადებულ ქვეყნის 7-გზის ჩემპიონს უგულშემატკივრებს.

მიზეზი ბანალურია – ევროლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი მტკვრის ნაპირებს მეოთხედსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ ეწვია, ჭეშმარიტ ქომაგს კი, მოგეხსენებათ, ნაკლებად აინტერესებს ამ ფაქტთან დაკავშირებული პოლიტიკური ინსინუაციები და უპირატესობას პოპულარული სახეობის დიდოსტატებს ანიჭებს. მოსკოველები უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდნენ, თეოდოშიჩი, დეკოლო, ჰაინსი, ვორონცევიჩი, ხრიაპა და ძმანი მათნი კი, დაგვეთანხმებით, ნებისმიერ აფიშას დაამშვენებენ.

რაც შეეხება ვითიბი ლიგის დებიუტანტს, მართალია, მასპინძლებმა სასტარტო შეხვედრა ვოლგოგრადის „კრასნი ოქტიაბრთან“ 67:110 დათმეს, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი – პაველ გოოგეს გუნდი ხომ სულ ორი თვის შეკრებილია და ჯერაც ფორმირება-შეთამაშების პროცესშია. ის, რომ მას სერიოზული მიზნები გააჩნია, „ვითას “ ერთ-ერთი დამფუძნებლის თემურ დათიკაშვილის სიტყვებიც მოწმობს: სადებიუტო სეზონში ვეცდებით ვითიბი ლიგის პლეი-ოფში გავიდეთ, გაისად რომელიმე კონტინენტური ტურნირის ჯგუფურ რაუნდში გავაღწიოთ, ხოლო ორი წლის შემდეგ ევროლიგაში ვითამაშოთო!

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასეთი პროექტები ჰაიჰარად არ ხორციელდება. ვიმედოვნებთ, დამოუკიდებლობააღდგენილი საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს აღზევებაში სახელმწიფოც დაეხმარება.

* * *

დუდუ დადიანის მემორიალმა წლეულს საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. აღსანიშნავია, რომ „ვითასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტნის ხსოვნის მორიგი ტურნირი სწორედ სტუმრებმა მოიგეს – ყაზახეთის უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „ატირაუ ბარსიმ“ ფინალში „ქუთაისს“ სძლია – 78:74.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ამბავი მშვენიერი იზაბელასი

ავაჰმეეე – ამბობს გულნი ჩვენნი, ოდეს იხილავდის მოდელსა მას ბრაზილთა ქუეყნისას, რომელსაც ეტყვიან იზაბელ და გვარი მისი არს ფონტანა. და გარნა მხოლოდ გულნი იტყვის კვნესასა და ვნებასა დიდსა?! არამედ ფიქრნიც მრავალგზის აგვეშალნეს და ცოდვამან ჩვენმან იმატა მრავალგზის.

აქამომდის სპორტული მოკალმენი ბრაზილიისა გაკვირვებითა დიდითა იტყოდნენ: „რაითა არრა ეტრფის ქალი ესე ფონტანა ფეხბურთსა? რამეთუ ყოველნი ასულნი ბრაზილიისა ფეხბურთსა გამოიყენებად ქმნიან პოპულარობასად თვისთა...“ მაგრამ ვითარცა დინჯმან და ბრძენმა ქალმან, იზაბელ ფონტანამან, აზრნი თვისი განავრცო მერმის.

და ახლა, ბაგენი მისნი ღაღადებენ სიყუარულსა ფეხბურთისა და ტრფობასა „პენტაკამპეონთა“ კრებულისა და ვითარმედ უძღები შვილი, ისრე ჩაიკრა გულში მობურთალთა სამყარომან სრულიად ბრაზილთა ქუეყნისა და არღარა გაუშვებს მას თუგინდ ტარტაროზმან ავმან და ბოროტის მსურველმან მოისურვილოს გაყოფა მათი!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რა გელოდებათ წინ?

ბედის წინასწარმეტყველება დაბადების თარიღის მიხედვით

1. ბედის ამოსაცნობად მოგიწევთ არითმეტიკული ოპერაციების ჩატარება.

მაგალითად, თუ 04.11.1979 წელს დაიბადეთ, რიცხვების დასადგენად საჭიროა შემდეგი გაანგარიშება: 0+4=4. დაბადების წლის ბოლო ორი ციფრის ჯამი კი: 7+9=16, თქვენი ცხოვრების ინდივიდუალურ ციფრს მიუთითებს, ანუ ყოველ 16 წელში თქვენი ბედი განახლდება და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება;

2. მნიშვნელოვანია, იცოდეთ, რომ დაბადების წლის ბოლოსწინა ციფრი (ამ შემთხვევაში – 7) მამის გავლენაა, ხოლო ბოლო (ამ შემთხვევაში – 9) დედის. რაც მაღალია ციფრი, მეტია გავლენის ზემოქმედებაც. ერთნაირი რიცხვები კი მშობლების ჰარმონიულ გავლენას ნიშნავს.

3. დაბადების წელი გაამრავლეთ რიცხვსა და თვეზე.

მაგ: რიცხვია – 4, თვე – 11, გამოვიდა 411, ამიტომ 411 X 1979 = 813369. რიცხვების შეერთებით, საბოლოოდ, მიიღებთ პირადი პოტენციალის დონეს (30). რაც უფრო მაღალია მნიშვნელობა, მეტია პოტენციალი.

4. ახლა შეადგინეთ ცხოვრების გრაფიკი რიცხვების მიხედვით.

დაბადების წელი გაამრავლეთ დღესა და თვეზე. რიცხვების მნიშვნელობა განალაგეთ აბსცისაზე, ღირებულება კი ორდინატაზე. იგრეკ ღერძზე განლაგდება – 1,2,3,4,5,6,7,8,9. იქსზე კი – 8,1,3,3,6,9. შემდეგ სიბრტყეზე განალაგეთ შემდეგი წერტილები: ჯერ 0, შემდეგ Y=1-სა და X=8-ის გადაკვეთის წერტილი; ალბათ შენიშნეთ, რომ მეორე წერტილი ემთხვევა თქვენს 16-წლიან ციკლს. ციკლის შემდგომ პერიოდს (32 წელი) შეესაბამება Y=2 და X=1 გადაკვეთის წერტილი. ამგვარად უნდა მონიშნოთ ყველა ცხრა წერტილი.

5. აგებულ გრაფიკზე დაინახავთ, როგორ წარიმართება თქვენი ბედი.

გაიგებთ, როდის მოგელით ცხოვრებაში წარმატება თუ წარუმატებლობა, ცხოვრებისეული აღმაფრენა თუ დაცემა, და ეს დაემთხვევა თქვენს ასაკს. გრაფიკზე რაც უფრო დაბლა ჩამოდის წერტილი, ამ დროს მით უფრო რთული პერიოდი გელით. მაგალითად, თუ წერტილი 0-ზე აღმოჩნდა, დიდი საშიშროება გემუქრებათ. გრაფიკის უმაღლეს წერტილებში კი, ნაწინასწარმეტყველები გაქვთ სოციალური, კარიერული და სხვა დიდი წარმატებები.

თუ დაბადების დღის ნუმეროლოგიური კოდი არის – 1, ეს ადამიანები მოქმედებენ აქტიურად, არიან ენერგიულები და ინიციატორები. ისინი ბავშვობიდან არ ემორჩილებიან მშობლებსა და სხვა აღმზრდელებს. მათზე დადებითად მოქმედებს ექსტრემალური სიტუაციები, ამ დროს მოსდით კარგი იდეები. ეს ადამიანები, რაც არ უნდა დიდ წარმატებას მიაღწიონ ცხოვრებაში, არ უნდა გახდნენ ამაყები და ტრაბახები.

თუ კოდი არის 2 – ცვალებადი ხასიათის ადამიანია და ეს ძირითადად გამოწვეულია საკუთარი თავისადმი რწმენის არქონის გამო. გამუდმებით ეპარებათ ეჭვი და ზედმეტად განიცდიან, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უწევთ. სასურველია, თავი აარიდონ კონფლიქტებს და ყური უგდონ ჭკვიანი ადამიანის რჩევებს.

მათ დიდი პოტენციალი აქვთ და ბევრის გაკეთება შეუძლიათ, როცა მარტო არ არიან. ასეთმა ადამიანებმა უფრო მეტად უნდა დააფასონ საკუთარი თავი, შეიმატონ თავდაჯერებულობა და მორიდების გარეშე ითხოვონ მხარდაჭერა, როცა სჭირდებათ.

როცა კოდი 3-ია, მათ ყველაფერი ერთდროულად სურთ და პეპლის მსგავსად ერთი ყვავილიდან მეორეზე გადაინაცვლებენ; უმჯობესია, სურვილები რეალობას შეუსაბამონ და შეადგინონ სია, რომლის მიხედვითაც დაიწყებენ სურვილების შესრულებას. მაშინ მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.

კოდი 4-ის ადამიანები – უყვართ სტაბილურობა. არიან პასუხისმგებლიანი, საიმედო და სერიოზული ადამიანები. სწორად უდგებიან ნებისმიერ წარუმატებლობას და ცხოვრებისეულ გამოცდილებად მიიჩნევენ. წარუმატებლობა უფრო აზარტულს ხდის და ბოლომდე იბრძვიან, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიაღწევენ. აქვთ ფულის გამომუშავების უნარი.

როცა კოდი 5-ია, აფასებენ თავისუფლებას და უყვართ ცვლილებები. უყვართ რისკი და უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებენ. ცხოვრებაში ძალიან უმართლებთ. გამოირჩევიან მაღალი ინტელექტით, აქვთ რამდენიმე საქმის ერთად კეთების უნარი. უყვართ მოგზაურობა და ხალხთან ურთიერთობა.

კოდი 6 – თუ ამ ადამიანმა სიტყვა მოგცათ, შეუძლებელს შეძლებს მის შესასრულებლად. არიან ღირსეულები. მათთვის ყველაზე წარმატებული სფეროა მედიცინა, პოლიტიკა და საგანმანათლებლო საქმიანობა. ახასიათებთ ადრეული ქორწინება.

კოდი 7– ისინი უსმენენ შინაგან ხმას და არა ლოგიკას. მატერიალურზე მეტად სულიერი ცხოვრებით ინტერესდებიან. ხელოვნების, ფილოსოფიისა და რელიგიის საკითხებში ნამდვილი ექსპერტები არიან.

კოდი 8 – შეუძლიათ და მიმართავენ კიდეც თავის ძალებს მატერიალური ცხოვრებისკენ. ბიზნესში დიდ მწვერვალებს აღწევენ, მაგრამ მხოლოდ საკუთარ ფულზე ზრუნვა წარმატებას ვერ მოუტანს. თუ სხვის მოგებაზეც იფიქრებენ, ყოვლად უზრუნველყოფილი ცხოვრება ელით. რა საქმესაც არ უნდა შეეჭიდონ, ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მატერიალური აუცილებლად უნდა გაუთანაბრონ სულიერს.

კოდი 9 – გარშემომყოფები მას ძალიან აფასებენ და ავტორიტეტულ ადამიანად მიიჩნევენ. ქორწინებაში მისთვის უფრო მნიშვნელოვანია სულიერი მხარე, ვიდრე ფიზიკური სიახლოვე.

კოდი 11 – ამ ადამიანებს ცხოვრებაში დიდი მისია აკისრიათ. ისინი გამუდმებით იძლევიან რჩევებს და პასუხისმგებლობით ეკიდებიან თითოეულ სიტყვას, რასაც სხვის სასარგებლოდ ამბობენ და ეს ადამიანები ხშირად მასზე გაცილებით უფროსებიც არიან.

ადამიანებს, რომელთა ნუმეროლოგიური კოდი 22-ია, ყველაზე გრანდიოზული და რთული ცხოვრებისეული მისია აკისრიათ. კაცობრიობას უძღვნიან თავს. მათი დავალებაა, აუხსნან თანამედროვეებს კოსმიური ძალების შესახებ.

◎ ალიან-ჩალიანი

ხარკოვის მიმართულებით ფრენები განახლდება

18 დეკემბერს, დავით ალმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ავიაკომპანია უკრაინის საერთაშორისო ავიახაზები კიევი-ხარკოვი-კიევის მიმართულებით პირველ ავიარეისს შეასრულებს.

მგზავრებს ქუთაისი-ხარკოვის ავიარეისით სარგებლობა კვირაში ორჯერ – ოთხშაბათსა და შაბათს შეეძლებათ.

მოლაპარაკებების პროცესი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა და უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების წარმომადგენლებს შორის წარმატებით დასრულდა. ავიაბილეთის საფასური ორი გზა 146 ევროდან იწყება და მისი შეძენა მსურველებს უკრაინის საერთაშორისო ავიახაზების ვებ-გვერდზე (www.flyuia.com) შეუძლიათ.

ხარკოვის მიმართულებით 2013- 2014 წლებში ავიარეისებს ავიაკომპანია „ვიზეარ უკრაინა“ ახორციელებდა და ამ პერიოდში აღნიშნულ მარშრუტზე 34 813 მგზავრი იქნა გადაყვანილი.

თერჯოლელი მხატვრების ხელშესაწყობად

თერჯოლაში სამხატვრო გალერეა გაიხსნა. გალერეა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის პირველმა მოადგილემ პაატა ნადირაძემ და გამგებელმა თეიმურაზ ჯაფარიძემ საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

რეაბილიტირებულ შენობაში სამხატვრო სკოლა და ორი საგამოფენო დარბაზი განთავსდება. სამხატვრო სკოლა, რომელსაც არსებობის 30-წლიანი ისტორია აქვს, ამ დრომდე ამორტიზებულ შენობასა და შეუსაბამო პირობებში ფუნქციონირებდა. თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ სკოლაში, სამხატვრო ხელოვნებას დღეიდან 50 მოსწავლე დაეუფლება.

მოწვეულმა სტუმრებმა განახლებულ სამხატვრო გალერეაში რუსუდან ფეტვიაშვილის ფერწერული ტილოები და ასევე, ადგილობრივი მხატვრების ნუგზარ ქოჩიაშვილისა და თამარ ღარიბაშვილის ნამუშევრები დაათვალიერეს.

სამხატვრო გალერეის შენობის სრული რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან 47 000 ლარით დაფინანსდა.

◎ კრიმინალი

სამართალდამცავებმა გაყალბებული „ფეირი“ ამოიღეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო დამზადება-გამოყენების ფაქტი გამოავლინა.

გამოძიების ინფორმაციით, შპს SKIPPER-ის ხელმძღვანელი პირების მიერ, სისტემატურად ხდებოდა დიდი ოდენობით FAIRY-ის ნიშანდებული პროდუქციის მართლსაწინააღმდეგო დამზადება და რეალიზაცია. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, შპს SKIPPER-ის საწარმოდან ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის კუსტარულად დამზადებული სარეცხი საშუალება და წარმოებისთვის გამზადებული სასაქონლო ნიშნები.



განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს კონკურსს პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ ვებ-გვერდი www.geosis.ge

ტელ: 2 75 25 20.

◎ აკადემიკოს ფილატოვის რეცეპტი

სასწაულმოქმედი ნაყენი სუსტი მხედველობისთვის

100 გრამი ალოეს წვენი, 500 გრამი ნიგოზი (ან თხილი), 300 გრამი თაფლი და 3-4 ცალი ლიმონის წვენი – ყველაფერი ეს კარგად აურიეთ ერთმანეთში და მიირთვით დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაყენი არა მხოლოდ მხედველობას აუმჯობესებს, მთელ ორგანიზმსაც აჯანსაღებს.

ნაყენისთვის საჭირო ინგრედიენტები შეიცავენ ისეთ ვიტამინს, რაც ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია. მიიღეთ მანამ, სანამ არ გამოგისწორდებათ მხედველობა.

გაითვალისწინეთ: აუცილებელია, ალოე იყოს 2-3 წლის მაინც. მცენარეს მოაჭერით ქვედა, ანუ შედარებით ძველი ფოთლები ისე, რომ არ დააზიანოთ ზედა, ახალგაზრდა ფოთლები. გარეცხეთ ადუღებული წყლით, მოაშორეთ ეკლები და დაჭერით წვრილად, შემდეგ გაწურეთ.

ამ რეცეპტის ავტორი, აკადემიკოსი ფილატოვი გვირჩევს, რომ ნაყენის მომზადებამდე ალოეს ფოთლები გავრეცხოთ და რამდენიმე დღე მაცივარში შევინახოთ, ვინაიდან ამ დროს ხდება ბიოგენური სტიმულატორების გამოყოფა, რაც მცენარეს კიდევ უფრო სასარგებლოს ხდის.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ერთხელ მომზადებული ნაყენი დიდი ხანი არ მიიღოთ, რადგან შეიძლება გააღიზიანოს კუჭი და გამოიწვიოს ანთებითი პროცესი.

marao.ge

მილოცვა

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები — რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი და ჯუმბერ გონაშვილი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ჩვენი ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ყოფილ თავკაცს, სახალხო გენერალს, თავისი ახლობლებისა და მეგობრებისთვის თავდადებულ, უკეთილშობილეს პიროვნებას

ბატონ **დემურ მიქაძეს**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს დაბადების დღეს ჭეშმარიტად ღირსეულ მამულიშვილს, მთელი ცხოვრება ბნელ ძალებთან წარმატებით მებრძოლს, ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარსა და სასურველ ავტორს

გენერალ **დემურ მიქაძეს**

იმუნიტეტი ციფრებსა და ფაქტებში

იმუნიტეტი — ესაა ორგანიზმის დაპირისპირება ვირუსების, ბაქტერიების, უმარტივესი, აგრეთვე უცხო ქსოვილებისა და ნივთიერებების (მაგალითად, შხამების) შემოჭრებთან.

შეძენილი აქტიური იმუნიტეტი ჩნდება გადატანილი ავადმყოფობის ან ვაქცინის შეტანის შემდეგ. პასიური კი ვითარდება ორგანიზმში შრატის სახით მზა ანტისხეულების დროს.

ადამიანის იმუნური სისტემის 50 პროცენტზე მეტს განსაზღვრავს მისი ცხოვრების წესი. იმუნიტეტის ყველაზე საშიშ მტრებს შორისაა — სტრესები, უძილობა, არადაბალანსებული კვება, ჰიპოდინამია ან მეტად გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვები.

100 000-დან 1 შემთხვევაში იბადება ადამიანი მძიმე კომბინირებული იმუნოდეფიციტით. მისი მკურნალობისთვის საჭირო ძვლის ტვინის გადანერგვა.

ადამიანის იმუნური სისტემის უჯრედების ჩამოყალიბებისათვის 10-ჯერ მეტი ნივთიერებაა ქალის რძეში, ვიდრე, მაგალითად, ძროხისაში. ეს უჯრედები გვეხმარება დავიცვათ ჩვილის ორგანიზმი, ვიდრე მისი იმუნური სისტემა ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული.

იმუნური სისტემის უჯრედების წინააღმდეგობას ნ-ჯერ ზრდის ნივთიერება L-ტეანინი, რომელსაც ჩაი შეიცავს.

იმუნური სისტემის ორგანოებს მიაკუთვნებენ ძვლის წითელ ტვინს და ტიმუსს, აგრეთვე ელენთას, ლიმფატურ კვანძებს და ლიმფოიდურ ქსოვილს.

ადამიანების 10 პროცენტს აქვს ძლიერი იმუნიტეტი, რომელიც იცავს მათ პრაქტიკულად ყველა დაავადებისაგან. კიდევ 10 პროცენტს აქვს დაქვეითებული იმუნიტეტი: ისინი ძალიან ხშირად ხდებიან ავად. დანარჩენ 80 პროცენტში იმუნური სისტემის ძალა ცხოვრების წესზეა დამოკიდებული.

კარგი იმუნიტეტი გაქვთ თუ ცუდი, შეიძლება განვსაზღვროთ სისხლის კლინიკური ანალიზის დახმარებით ლიმფოციტების ოდენობის შესაბამისად — ესენია სისხლის თეთრი უჯრედები.

1 კილოგრამია მოზრდილი ადამიანის იმუნური სისტემის ორგანოებისა და უჯრედების ჯამური მასა.

ბავშვების 15 პროცენტს და მოზრდილების 5 პროცენტს აწუხებს ალერგიის სხვადასხვა სახეობა — ჩავარდნებით იმუნური სისტემის მუშაობაში.

აგრესიული მამაკაცების იმუნური სისტემა უკეთაა მორგებული ინფექციებთან ბრძოლისათვის, ვინაიდან მათს სისხლში ყოველთვის არის უფრო მეტი ლიმფოციტები, რომლებიც ანადგურებენ ორგანიზმში მოხვედრილ ნებისმიერ უცხო სხეულს.

აუტოიმუნურ დაავადებათა 78 პროცენტის შემთხვევებში, რომლის დროსაც ადამიანის იმუნიტეტი რეაგირებას ახდენს საკუთარ უჯრედებზე, როგორც უცხოურზე, აზიანებს ქალებს.

„XX საუკუნის შავ ჭირს“ უწოდებენ შიდსს, რომელიც იმუნურ სისტემას აზიანებს. თუ სისხლში არის შიდსის აღმგზნები, მასში ლიმფოციტები თითქმის არაა. ასეთი ორგანიზმი კარგავს უნარს იბრძოლოს თავისი თავისთვის და ადამიანი შეიძლება გარდაიცვალოს ჩვეულებრივი გაცივებისაგან.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87

სათრეველა

ვინც ეთერი დააჭლექა...

რომელიც დაბადა კეზერაშვილისეული წარმომავლობის 6 მილიონმა და ისტერიკული ვაიუშველებელი, რაც უკანონო ფინანსური ოპერაციისათვის გზის გადაკეტვის გამო, სიტყვის ეგრეთ წოდებულ თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, ატეხა არა მარტო სიტყვის თავისუფლების, არამედ ყოველგვარი ადამიანურობის წინააღმდეგ ამხედრებული ცოცხოსანი ნაცების მებრძოლმა რუპორმა — „რუსთავი-2“-მა და მისმა ორმა ცრუ თავმა.

გაბუნიას ენის ჩლექით, ბოღმით გვარამიასი,
ვინც ეთერი დააჭლექა „ცოცხოსანთა“ გნიასით,
ოდესიდან შეკვეთილი შხამიანი აბებით,
გახლავთ შემთხზველ-დამკვეთელი საშინელი ამბების.
მან აქცია საქართველო კეზერაანთ დუქნად და
„ცრუსთავ-ორით“ — თალხი ფერის უფრო გასამუქადა.

* * *

ჯოჯოხეთის მაშხალას დღეს თვალში შუქი უქრება
და აყვირდა, ირღვევაო პრესის თავისუფლება!

* * *

როცა პრესას პირს უკრავდნენ, დარდი ჰქონდა იმისი,
რომ გაწირეს გაზეთები და მათ შორის „თბილისი“!
ვინც გადარჩა, ჭერწართმეულს რომ არ შერჩა მცირედით,
ის იმედი, რითაც დიდხანს ძლივს ბჟუტავდა „იმედი“?
რატომ არ სურს გაიხსენოს, „სამშობლო“ რად ჩარაზეს,
რად აწამეს მოლაშვილი, რად მოგვიკლეს შარაძე?!
სიტყვას ბანზე ნულარ აგდებს, მაინც ყველგან იციან,
რა დამართა საქართველოს მისმა ინკვიზიციამ.

* * *

ოდესიდან დღესაც მოდის „ბრენდი“ აბრუნდებისა,
„რუსთავ-ორის“ - ცრუ-თავ-ორით - გეგმა დაბრუნებისა,
მისი სიგიჟეების და მისი ავბუნებისა.

* * *

ცრუ თავებმა რომ ანთხიონ გესლი თავისუფლადა,
ხაზინის ქურდ კეზერაშვილს მიტომ იწვევს სუფრასთან,
მაგრამ ქურდის 6 მილიონს და ყვავს — უკუდ-უფრთებოს
ჯოჯოხეთში კუპრის ქვაბქვეშ მწველ ცეცხლს უკვე უნთებენ!
ეს ნიშნავს, რომ დაიბრუნა ხალხმა თავის უფლება,
ეს ნიშნავს, რომ ჩვენში ზეცა აღარ მოიქუფრება!

ალექსანდრე შენგელია,
იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

— პრეზერვატივები გაქვთ? — ეკითხება ტიპი აფთიაქარს.
— რა ზომისა გნებავთ?
— აბა, როგორ გითხრათ, სანტიმეტრი გაქვთ?

* * *

— მიხო, მოგეწონა ვახშამი? გემრიელია?
— რა გინდა, ქალო, ისევ ჩხუბი გსურს?

* * *

— სვეტკა ძალიან ერთგული ქალია!
— ერთგული არა! უკვე მესამედ გათხოვდა.
— სამაგიეროდ, საყვარელი კვლავ იგივე ჰყავს.

* * *

წუხელ დამესიზმრა, რომ ქმარი ხვრინავდა...
დილით გამეღვიძა: არა, ყველაფერი რიგზეა — გაუთხოვარი ვარ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე